# დადგა თესვის საბრძოლო დღეები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 79 (11993)
ოთხშაბათი,
5
აპრილი,
1961 წ.

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თესავენ ქსოვრისელები

*რეპორტაჟი*

მცხეთა. (სპეც. კორ.). ქართლში გაზაფხულია. თეთრად და ვარდისფრად გადაპენტილა ხეხილის ბაღები. ჰყვავის ნუში და ტყემალი. მოძრაობა გაცხოველდა გზებზეც. გორის გზატკეცილზე მიჰქრიან თესლით, სასუქებით დატვირთული მანქანები. ქალაქისაკენ მიდიან რძის ცისტერნები და სხვა პროდუქტებით დატვირთული მანქანები.

გზის ორივე მხარეს მანქანები მუშაობენ — მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. საერთოდ ყველაფერი გამოცოცხლდა, ამოძრავდა. მთავარი მაგისტრალიდან ლენინგორისაკენ თუ გადაუხვევთ და რამდენიმე კილომეტრს გაივლით, მოხვდებით სოფელ ქსოვრისში, სადაც მცხეთის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობაა.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეს კოლმეურნეობა ჩამორჩენილი იყო რაიონში. აქ წლითიწლობით დაბალი იყო წველადობა, ვერაფერს დაიკვეხნიდნენ მემინდვრეობაშიც.

მაგრამ აი შარშან გარდატეხა დაიწყო. კოლმეურნეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შემდეგში ასე შრომა აღარ შეიძლებოდა, ჯეროვნად უნდა მოეკიდათ ხელი „მინდვრის დედოფლის" მოყვანისათვის, მეცხოველეობა სათანადო სიმაღლეზე უნდა აეყვანათ.

კოლმეურნეთა შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. მკვეთრად გადიდდა წველადობა, და ახლა კოლმეურნეობა რაიონში მოწინავეთა რიგებშია. გადიდდა სიმინდის, ბოსტნეულის, ბალჩეულის მოსავალი. ცალკეულმა მესიმინდეებმა სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, კოლმეურნე ა. მახარაშვილმა ჰექტარზე მიიღო 45 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 65 წლის ს. ბალხამიშვილმა — 37 ცენტნერი.

გაზაფხულს კოლმეურნეები მომზადებული შეხვდნენ. უკვე დამთავრდა მინდვრის მთელი რიგი კულტურების თესვა.

კოლმეურნეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას სიმინდს აქცევენ. წელს ამ კულტურას 300 ჰექტარზე თესავენ. გამოყოფილია უხვმოსავლიანი ნაკვეთები, სადაც ნავარაუდევია საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტი სიმინდის მარცვლის მიღება. გუშინ კოლმეურნეობაში შეუდგნენ სიმინდის თესვას კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

სათეს ნაკვეთებზე დილიდანვე მივიდნენ ტრაქტორები სათესი მანქანებით. სატვირთო მანქანებმა მიზიდეს თესლი. მივიდნენ მექანიზატორები. გაჩაღდა დაძაბული შრომა.

აქ ჩვენ ვნახეთ მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი ს. ლოხიშვილი.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს იგი, — კარგად მოემზადა თესვისათვის. წინასწარ შევარჩიეთ ნაკვეთები, შემოდგომაზე ნიადაგი ღრმად მოვხანით. გაზაფხულზე კი მიწა კვლავ გადავხანით 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე. შემდეგ ჩავატარეთ კულტივაცია და თვითეულ ჰექტარზე შევიტანეთ 300 კილოგრამი სუპერფოსფატი. ნაკვეთზე ყველგან მიყვანილია წყალი.

ჩემი ბრიგადა ამ გაზაფხულზე დათესავს 110 ჰექტარ სიმინდს. კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის გამოყოფილი მთელი თესლი დაკალიბრებულია. ჩვენ ვთესავთ „ქართულ კრუგს". კოლმეურნეობაში ამას წინათ მივიღეთ ახალი სათესი მანქანა, რომლითაც დღეს შევუდექით თესვას. ჩვენში ყველა პირობაა ამ ძვირფასი კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად.

მექანიზატორები ამ დღეებში გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. მაგალითად, კოლმეურნეობის ტრაქტორისტებმა გ. ყაჭიურმა ვალდებულება იკისრა 150 ჰექტარი დათესოს ათ სამუშაო დღეში. მის მაგალითს სხვა მექანიზატორებიც ბაძავენ.

სიმინდის თესვა დაიწყო. მექანიზატორებმა გააჩაღეს ბრძოლა „მინდვრის დედოფლის" უხვი მოსავლის მისაღებად.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ტრაქტორისტი გ. ყაჭიური; ქვემოთ — სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა ქსოვრისის კოლმეურნეობაში.

ფოტო გ. გინზბურგისა.

## გუშინ მინდვრად




**ლაგოდეხი** ახალსოფლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა **მიხეილ კაპანაძემ** კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდი დათესა 21 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. დღემდე სიმინდი დათესილი აქვს 80 ჰექტარზე.

სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა **ლევან კევლიშვილმა** გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 12 ჰექტარზე.

* * *

**სიღნაღი** გუშინ დღის ბოლოსათვის რაიონში სიმინდი დათესილი იყო 1.300 ჰექტარზე. შრომაში დაწინაურდა სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი **ივანე ბაიდოშვილი** ხელმძღვანელობს. მექანიზატორებმა **ამირან უანდაშვილმა** და **ვალიკო ბეჟაშვილმა** თვითეულმა 15 ჰექტარზე დათესეს სიმინდი პროგრესული მეთოდით. სულ დათესილია 340 ჰექტარი.

სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **მიხეილ ჯავაშვილმა** კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდი დათესა 15 ჰექტარზე.

* * *

**მარნეული** ყულარის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტმა **თ. ალიევმა** დათესა 13 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. გიაურარხის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა **ო. მეხტიევმა** დათესა 12 ჰექტარი და დღიური დავალება 130 პროცენტით შეასრულა.

* * *

**თელავი** სიმინდის თესვაში დაწინაურდა სოფელ ართანის კოლმეურნეობა. **ივანე ხახუტაშვილმა** სიმინდი დათესა 14 ჰექტარზე, **გედევან ქურციკიძემ** — 13 ჰექტარზე. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში" მექანიზატორებმა **ფირუზა ბალათრიშვილმა** და **ნასყიდა კუპატაძემ** 27 ჰექტარი სიმინდი დათესეს.

გუშინ რაიონში სიმინდი დათესა 180 ჰექტარი.

## კომუნისტები გადამწყვეტ უბნებზე

ახლა, როცა დასახულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების გრანდიოზული ამოცანა, სოფლის პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სწორად გაანაწილონ კომუნისტები სამუშაოებზე, დაეხმარონ მათ სრულად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და უნარი, იყვნენ პროდუქტების სიუხვისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და თან გაიყოლიონ უპარტიო ამხანაგები. კომუნისტების ავანგარდული როლის შესახებ **ჩვენი გაზეთის** ფურცლებზე სისტემატურად მოვათავსებთ სოფლის პარტიული ორგანიზაციების მდივნების წერილებს თავიანთ გამოცდილებაზე.



### პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ტრიბუნა

**ჩვენი** კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ასამდე წევრს ითვლის. კომუნისტების დიდი ნაწილი ხელმძღვანელობს ისეთ დარგებს, სადაც უშუალოდ ხდება პროდუქტების წარმოება, იქმნება სიუხვე და ბარაქა. ხშირად ვამოწმებთ კომუნისტთა მუშაობას. შემოწმება დახმარების ხასიათს ატარებს.

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი კომუნისტი ი. ბეგაშვილი, რომელსაც წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორის წოდება, პირადი მაგალითით ალაფრთოვანებს ყველა მექანიზატორს იმისათვის, რომ ნაკლები შრომითი დანახარჯებით გაადიდონ პროდუქტების წარმოება, გაზარდონ მარცვლეულის მოსავლიანობა.

ბრიგადამ წელს პროგრესული მეთოდით დათესა მზესუმზირა 200 ჰექტარზე, ამდენივე რაოდენობით დათესავენ სიმინდს. ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 60 ცენტნერ მარცვალს.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მიწის დამუშავების ყველა პროცესი ბრიგადამ დროზე და ხარისხოვნად ჩაატარა. უკვე შეუდგნენ სიმინდის თესვას. კოლმეურნე მექანიზატორები იბრძვიან ვალდებულების შესასრულებლად.

ამ ბრიგადის წარმატება განაპირობა იმანაც, რომ ინჟინერ-მექანიკოსი გ. ძმანაშვილი მზრუნველობას არ აკლებს მექანიზმებს, მინიმუმამდეა დაყვანილი მანქანების გაცდენის შემთხვევები.

საგაზაფხულო თესვის პირველ დღეებშივე თავი ისახელეს ტრაქტორისტმა რ. ხუნაშვილმა და კ. ძმანაშვილმა.

პროდუქტიული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში წელს სამ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა 15 ლიტრით გაიზარდა. ეს წარმატება პირველ რიგში აიხსნება იმით, რომ ფერმას უნარიანად ხელმძღვანელობს კომუნისტი შ. ცივქარაშვილი. წველადობაში კარგი მაჩვენებლები აქვს იმ ბრიგადას, რომელსაც მ. ბეგაშვილი უძღვება.

მეცხვარეობაში სულადობის ზრდისა და მიღებული ნამატის შენარჩუნებისათვის ნაყოფიერ შრომას ეწევიან ნ. ჯანიაშვილი, ი. ხუნაშვილი, შ. ძმანაშვილი და სხვები. ამიტომ არის, რომ შემცირდა ცხვრის სიკვდილიანობის შემთხვევები.

კომუნისტი ამხანაგები არა მარტო თავიანთ მოვალეობას ასრულებენ კეთილსინდისიერად, არამედ სწრაფად იძლევიან სიგნალებს შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. საჭირო შემთხვევაში მათ მიერ აღძრულ საკითხებს მსჯელობის საგნად ვხდით. სიგნალებისადმი ასეთი გულისხმიერი მოპყრობით, ჯერ-ერთი, ვასწორებთ ნაკლოვანებებს და, რაც მთავარია, ვზრდით მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გრძნობას, ვამაღლებთ მათს ინიციატივას საერთო საქმეში.

ჩვენი კოლმეურნეობის კომუნისტები პირნათლად შეასრულებენ შვიდწლედის მესამე სამეურნეო წელს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას.

**ი. ხაჩიაშვილი,**
სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.



## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური

**სსრ** კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 4 აპრილს კრემლში მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ე ძი-ჯუანი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ე ძი-ჯუანს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაურის მოადგილეები ლი ციანი, ჯოუ ხუამინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჯან დე-ციუნი, სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სავაჭრო მრჩეველი ჯენ ტო-ბინი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის ყველა წევრი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ პ. ნ. კუმიკინმა, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსმა მ. ი. სლადკოვსკიმ და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ერიომინმა. (საკდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი

**4 აპრილს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პირად სტუმრად მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ დაუდი მეუღლითურთ. მას ახლავს დაგეგმვის მინისტრის მოადგილე აბდულ ჰაი აზიზი.

ვნუკოვის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, მის უმაღლესობას სარდარ მუჰამედ დაუდსა და მის მეუღლეს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები გ. ა. ჟუკოვი, ს. ა. სკაჩკოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და მუჰამედ დაუდმა ერთმანეთს მიმართეს გულითადი მეგობრული მისალმებებით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა მეუღლემ გააცილეს მუჰამედ დაუდი მეუღლითურთ მათთვის გამოყოფილ რეზიდენციამდე.

* * *

იმავე თვითმფრინავით მოსკოვს დაბრუნდა ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაკიმ შაჰალამი, რომელიც ვენაში იყო პრემიერ-მინისტრის შესახვედრად. (საკდესი).

## რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

**მოსკოვი,** 3 აპრილი. (საკდესი). მოსკოვში რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. ტ. რუბიჩევის თავმჯდომარეობით გაიმართა პირველი პლენუმი რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოსი, რომელიც შექმნილია რუსეთის ფედერაციის სასამართლო წყობილების ახალი კანონის შესაბამისად. მოსმენილ იქნა რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვ. კრიუკოვის ანგარიში სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საქმიანობის შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს რუსეთის სფსრ სასამართლო კოლეგიამ და სასამართლო ორგანოებმა შეანელეს ყურადღება ისეთი საქმეებისადმი, როგორიცაა დატაცება და ბოროტმოქმედებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებში, წამატებანი გეგმებისა და დავალებების შესრულებაში, თვალის ახვევა და სახელმწიფოს მოტყუების სხვა ფაქტები. პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში საჭიროა სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი უნარიანად შეუხამონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებთან და მართლმსაჯულების განხორციელებას ახლად მიღებული რუსეთის სფსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოთხოვნები.

რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. ი. სერგეევას მოხსენების მიხედვით პლენუმმა განიხილა აგრეთვე პენსიების უკანონოდ გადახდასთან დაკავშირებით წამოჭრილ საქმეთა გარჩევის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგები.

## ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

**მოსკოვი,** 4 აპრილი. (საკდესი). დღეს ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის პლენუმი.

განსახილველად დატოვებული კანდიდატურების გამო დისკუსიის შემდეგ, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება 1961 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

მიმდინარე წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღო ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი კანდიდატურების განხილვაში. წინა წლებთან შედარებით გადიდდა კოლექტიური განხილვა მხატვრულ, შემოქმედებითს და სამეცნიერო ორგანიზაციებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში. გაცილებით ფართოდ განიხილავენ კანდიდატურებს პრესაში. 1961 წლის კანდიდატების შესახებ წერილები გამოგზავნეს კომიტეტში ჩვენი სამშობლოს, აგრეთვე ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის ბევრი ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებმა.

## ნაღმის აფეთქება

**კაირო,** 4 აპრილი. (საკდესი). კაიროში ომანის იმამის წარმომადგენლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ იბრის რაიონში ომანელი პატრიოტებისა და ინგლისის სამხედრო რაზმის შეიარაღებული შეტაკების შედეგად მოკლულია ორი და დაჭრილია ხუთი ინგლისელი ჯარისკაცი. ამავე რაიონში ნაღმით აფეთქდა ინგლისის სამხედრო ავტომანქანა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ინგლისის კოლონიური ჯარების ყველა ცდა — განაიარაღონ ომანის სახალხო წინააღმდეგობის ძალები, უშედეგოა.

## პროვოკაციები გრძელდება

**პარიზი,** 4 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში არ წყდება პროვოკაციები, რომლებსაც ულტრაკოლონიალისტები და ფაშისტური ელემენტები აწყობენ საფრანგეთ-ალჟირის მომავალი მოლაპარაკების წინააღმდეგ.

გუშინ საღამოს მარსელში აფეთქდა ბომბი, რომელიც ტუნისის საკონსულოს ფანჯრის ქვემოთ იყო ამოდებული. აფეთქებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საკონსულოს შენობას.

მარსელის საზოგადოებრიობა აღშფოთებას გამოთქვამს ულტრაკოლონიალისტთა დაუსჯელი მოქმედების გამო.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. აკობიას ქუნა დუტუს ასულს — ზუგდიდის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
2. ლულუნიშვილს დონიკა უფლისას ასულს — საჩხერის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
3. კულუმბეგოვას მარიამ ნაშრევანის ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელი ლოპანი.
4. ლაბაძეს გალინა იაგორის ასულს — საჩხერის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
5. ლომიძეს შუშანა სამსონის ასულს—საჩხერის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
6. მებონიას ქუნა კალისტრატეს ასულს — ზუგდიდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
7. ჩიქოვანს ტატიანა ვლადიმერის ასულს — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ჩხორია.
8. შანავას ვალენტინა გიორგის ასულს — ზუგდიდის რაიონის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
9. შველიძეს ნინო ევგენის ასულს — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის" წევრს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი.
1961 წ. 3 აპრილი.

## თაგორის დაბადების 100 წლისთავის გამო

**იმასთან** დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის მაისში ასი წელი სრულდება გამოჩენილი ინდოელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რაბინდრანატ თაგორის დაბადების დღიდან, რომლის იუბილე აღინიშნება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, შექმნილია რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომელშიც შედიან: ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. ძიძიგური, ო. ეგაძე, ს. ჟღენტი, გ. ლეონიძე, ჯ. ლიტონი, გ. წერეთელი, ვ. ჭელიძე, ს. ჭილაია, ფ. ხალვაში, ი. თარბა, გ. გაგლოევი.

კომისიამ დასახა რაბინდრანატ თაგორის იუბილეს მოწყობის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" უშვებს ინდოელი პროფესორის ჯ. ლიტონისა და ქართველი მეცნიერის ი. იაშვილის მონოგრაფიას რაბინდრანატ თაგორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, გამოდის აგრეთვე მწერლის საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ბროშურა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება მაისში აწყობენ რაბინდრანატ თაგორის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს. (საქდესი).

ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში მოქმედებს სოციალიზმის ძირითადი პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს". ეს პრინციპი განუხრელად უნდა დავიცვათ. თუ რომელიმე მოქალაქე არ მუშაობს, მაგრამ ჭამს, მკაცრად უნდა ვკითხოთ მას, სად იღებს პროდუქტებს, რომლებსაც ჭამს და რომლებსაც არ ქმნის, და ჩვენი კონსტიტუციის შესაბამისად უნდა მივიღოთ ასეთი მუქთახორის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებანი.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.**

# ომი მუქთახორებს!

შრომა ადამიანის ტვინის, ნერვების, კუნთების ენერგიის ხარჯვაა. მაგრამ ენერგიის არა ყოველგვარი ხარჯვა წარმოადგენს შრომას, არამედ მხოლოდ „მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, ბუნების მონაცემის მითვისება ადამიანის მოთხოვნილებისათვის" (კ. მარქსი).

შრომა, როგორც მიზანშეწონილი მოქმედება, ახასიათებს მხოლოდ ადამიანს. შრომა — ეს სპეციფიკური ადამიანური თვისებაა, რომელიც არ ახასიათებს არც ერთ სხვა ცხოველს.

შრომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების წარმოშობის, არსებობისა და განვითარების საქმეში. ადამიანი თავის წარმოშობას შრომას უნდა უმადლოდეს. სწორედ შრომის საშუალებით გამოეყო ადამიანი ცხოველთა სამეფოს და გახდა ადამიანად. შრომა არის ადამიანის ორგანიზმის ჩამოყალიბების მთავარი და გადამწყვეტი პირობა, მისი სასიცოცხლოდ აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება.

ასეთია შრომის დანიშნულება ადამიანისათვის. მაგრამ კიდევ უფრო დიდი და გადამწყვეტია შრომის სოციალური დანიშნულება.

შრომა ადამიანთა საზოგადოების არსებობის პირველი და გადამწყვეტი პირობაა, ადამიანთა ცხოვრების მარადიული ბუნებრივი აუცილებლობაა. უშრომოდ შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა. „ყოველმა ბავშვმა იცის, — ამბობდა კ. მარქსი, — ყოველი ერი შიმშილით ამოწყდებოდა, მუშაობა რომ შეჩერებულიყო, არ ვიტყვი ერთი წლით, არამედ რამდენიმე კვირითაც კი". შრომა არის როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის და საერთოდ ყოველგვარ ფასეულობათა შემქმნელი ქვეყანაზე და ამიტომ სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ სიტყვა დემიურგი, რომელიც ძველ საბერძნეთში ნიშნავდა ხელოსანთა კლასს (რომელიც შრომით ქმნიდა ღირებულებას), ახლა ყველა ხალხის ენაზე იხმარება ერთი აზრით: შემოქმედი, შემქმნელი. კარგად თქვა მ. გორკიმ: „მსოფლიოში ყველაზე მშვენიერია ის, რაც შრომით არის შექმნილი".

ასე განუსაზღვრელი და გადამწყვეტია შრომის როლი და ადგილი ადამიანთა ცხოვრებაში. მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ სოციალიზმამდე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ფიზიკური შრომა ადამიანთა უმრავლესობისათვის წარმოადგენდა და კაპიტალისტურ ქვეყნებში დღესაც წარმოადგენს უმძიმეს ტვირთს, სამარცხვინო და დამამცირებელ საქმეს. თვით რელიგიამ ვერ დაფარა ეს ფაქტი. პირიქით, ბუნებრივ, გარდუვალ და თვით ღვთაების მიერ დაწესებულად რომ მიიჩნია ფიზიკური შრომის ადამიანთა უმძიმესი ხვედრი, ბიბლიური ლეგენდა ამბობდა: როცა ღმერთმა ჩადენილი ცოდვისათვის სამოთხიდან გააძევა პირველი ადამიანი — ადამი, იგი გაისტუმრა სიტყვებით: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო". ამ ლეგენდით დიდხანს ატყუებდნენ მშრომელ მასებს ყველა ქვეყნისა და დროის ექსპლოატატორები და მათი დაქირავებული იდეოლოგები. მაგრამ მშრომელები თანდათანობით ხვდებოდნენ, რომ მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა არა ადამის მთელი მოდგმა, არამედ მისი ერთი უდიდესი ნაწილი, ხოლო მეორე — უმცირესი ნაწილი არ შრომობდა, მაგრამ განცხრომასა და ფუფუნებაში ცხოვრობდა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ექსპლოატატორული კლასები, დაამსხვრია შრომის ხუნდები და მშრომელებს გადასცა ძალაუფლება. შეიქმნა „შრომის ხელისუფლება" (ვ. ი. ლენინი) და კაცობრიობის ისტორიაში პირველად მოხდა უდიდესი შეცვლა იძულებითი შრომისა, სხვისთვის შრომისა თავისთვის, თავისი საზოგადოებისათვის შრომით. შრომამ დაიბრუნა თავისი ბუნებრივი პირობები, მან ჰპოვა საყოველთაო აღიარება და დაფასება — მშრომელი ადამიანი ამაღლდა პოლიტიკურად, სოციალურად და მორალურად, იგი გახდა ახალი, სოციალისტური ცხოვრების შემოქმედი.

დიდმა ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებშივე გამოაცხადა პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს". ეს სიტყვები გაისმა როგორც მშრომელთა ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნა: უნდა იშრომოს ყველამ, ხოლო ვინც არ მუშაობს, არც უნდა ჭამდეს. ეს იყო და არის აბსოლუტურად სწორი, სავსებით სამართლიანი, სრულიად ბუნებრივი კანონი.

შრომის ამ კანონმა უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულებისა და საერთოდ მასების კომუნისტურად აღზრდაში. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში სავსებით და საბოლოოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა, მაგრამ ძალაში დარჩა პრინციპი „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს". ეს პრინციპი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია საბჭოთა კონსტიტუციაში.

ახლა ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს პრინციპი? მთელი თავისი მახვილით მიმართულია უსაქმურების, თაღლითების, ქურდების, სპეკულანტების, მექრთამეების, ყველა სახის პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ საზოგადოებას, ხოლო სულ არაფერი, ან ძალიან ცოტა მისცენ მას.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოება მშრომელთა საზოგადოებაა და იგი მოითხოვს სოციალისტური კანონიერების ურყევად გატარებას, განაწილების სოციალისტური პრინციპის განუხრელად განხორციელებას.

ამ პრინციპის პირველი ნაწილი „თვითეულისაგან უნარის მიხედვით" მიუთითებს მოქალაქის მოვალეობაზე. აქ აღიარებული და გამოცხადებულია შრომის საყოველთაო სავალდებულობა, ე. ი. წამოყენებულია მოთხოვნა, რომ თვითეულმა იშრომოს, ამასთან იშრომოს მთელი თავისი უნარის მიხედვით, მაშასადამე, მისცეს საზოგადოებას შესაძლებლობის მაქსიმუმი. სოციალისტური პრინციპის მეორე ნაწილი „თვითეულს შრომის მიხედვით" გამოხატავს მოქალაქის უფლებას. ეს არის შრომის გარანტია, ანაზღაურება გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ამრიგად, თვითეულის მიერ საზოგადოებრიობისათვის გაწეული შრომა წარმოადგენს მოხმარების საზომს და, ბუნებრივია, ვინც მეტს მუშაობს — მეტს იღებს, ვინც ცოტას მუშაობს — ცოტას, ხოლო ვინც არ მუშაობს — ის არ ჭამს.

ასეთია სოციალისტური საზოგადოების შრომის კანონი, რომელსაც განუხრელად იცავს ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა. ჩვენს ქვეყანაში თვითეული მოქალაქის პირადი შრომა და უნარი განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში. შრომა ჩვენთან გადაქცეულია სახელის, დიდებისა და გმირობის საქმედ.

ჩვენი პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახულმა დიადმა მიზნებმა და ამოცანებმა წარმოშვა მშრომელთა უდიდესი ენერგია. გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში წარმოიშვა ახალი უმნიშვნელოვანესი შრომითი მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადების, ჯგუფებისა და საწარმოთა მოძრაობა, რომელშიც უკვე ახლა 5 მილიონზე მეტი კაცია ჩაბმული.

კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. იგი უწინარეს ყოვლისა იმაზე მიუთითებს, რომ შრომისადმი დამოკიდებულების განვითარებაში დაიწყო ახალი ეტაპი. ეს ახალი ეტაპი ხასიათდება იმით, რომ შრომის მატერიალურ დაინტერესებასთან ერთად სულ უფრო ფართოდ და მძლავრად იჩენს თავს შრომის მორალური ფაქტორები. უკვე ახლაც ჩვენს ქვეყანაში ბევრისათვის შრომა წარმოადგენს არა მარტო შემოსავლის წყაროს, არამედ პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებას. ეს კომუნიზმის შესანიშნავი ყლორტებია, რომლებიც სულ უფრო ვითარდება და იფურჩქნება. ეს არის ჩვენი დროის დამახასიათებელი, მისი განვითარების ტენდენცია. ასეთია საბჭოთა ადამიანების დამოკიდებულება შრომისადმი.

უკვე ახლა, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროცესში ყალიბდება მომავლის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანი, რომელიც მთელ თავის საქმიანობასა და ცხოვრებაში ხელმძღვანელობს პრინციპით: პირადი კეთილდღეობის საიმედო საფუძველს წარმოადგენს საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობა. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სხვის ხარჯზე და უკანონო საშუალებებით ცხოვრობენ. მუქთახორები ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ორგანიზმის პარაზიტები არიან. მუქთახორები მრავალნაირია: სპეკულანტები, ქურდები, წამგლეჯები, კომბინატორები, მექრთამეები, თაღლითები. მართალია, ასეთი პირები უმნიშვნელო უმცირესობაა, მაგრამ მათ დიდი ზიანი მოაქვთ საზოგადოებრიობისათვის, წამლავენ ჯანსაღ ატმოსფეროს, ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას.

როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც არის მოწიფული ადამიანები, რომლებსაც ჯერ არც ერთი დღე არ უმუშავნიათ და უქმსა და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. საიდან, როგორ, რა გზით ცხოვრობენ? — ისმება ბუნებრივი კითხვა. ცხადია, ასეთი პირები ცხოვრობენ წამგლეჯობით, თაღლითობით, სხვადასხვა ბინძური საშუალებებით. ასეთი პირების მიმართ საზოგადოებამ მთელი ძალით უნდა აღიმაღლოს თავისი ხმა, აიძულოს ისინი დაადგნენ სასარგებლო შრომის გზას და თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების აღმზრდელობითი ზომები არ გაჭრის, გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული ზომები.

აი, რას ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ასეთი პირების შესახებ:

„თუ რომელიმე მოქალაქე არ მუშაობს, საზოგადოება უნდა შეეკითხოს მას, რატომ არ მუშაობს, ვის ხარჯზე ცხოვრობს. იგი ხომ ჰაერით, წყლით არ იკვებება, არამედ პროდუქტებით, რომლებიც შექმნილია საბჭოთა ადამიანებს შრომით. მშრომელ ადამიანს უფლება აქვს უთხრას მუქთახორას: „მე ვმუშაობ, მუშაობს ჩემი ძმა, მუშაობს ყოველი შრომისუნარიანი ადამიანი. რატომ არ მუშაობ შენ, არამედ სანსლავ იმას, რაც ჩვენი საზოგადოების შრომით იქმნება? თუ შენ არ მუშაობ, მაგრამ ჭამ, მაშასადამე, ცხოვრობ სხვის ხარჯზე, მაშასადამე, შენ ჰპარავ საზოგადოებას". ასეთი გაუსწორებელი უსაქმურების წინააღმდეგ მოგვეპოვება სპეციალური კანონი. ეს არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ეს ბრძანებულება უფლებას აძლევს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მშრომელთა კრებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შუამდგომლობათა საფუძველზე დასაჯონ ის პირები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ამ ბრძანებულებით, უსაქმური შეიძლება გასახლებულ იქნას მილიციის საშუალებით სავალდებულო სამუშაო ადგილას 6 თვიდან 2 წლამდე ვადით. ხოლო თუ ასეთი პირი ამჯერადაც თავს აარიდებს შრომას, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის კანონი.

ეს ბრძანებულება სავსებით გამოხატავს საქართველოს მშრომელთა სურვილებსა და მისწრაფებებს. მათ ერთსულოვნად მოიწონეს იგი, მაგრამ რატომღაც ამ ბრძანებულებას არ ვიყენებთ როგორც საჭიროა.

უსაქმურად ცხოვრება ქურდობაა. უსაქმურობა ადამიანს აყენებს არასწორ გზაზე, უბიძგებს უკანონო, ანტისაზოგადოებრივი საქციელისაკენ. უსაქმური ამორალური პიროვნებაა, მას არ შეუძლია დააფასოს საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობანი და ადვილად სჩადის ბოროტმოქმედებას. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ დანაშაულებათა მეტი წილი სწორედ ასეთ პირებზე მოდის.

თბილისსა და სხვა ქალაქებში რამდენია ისეთი ახალგაზრდა, რომელმაც განათლება, სპეციალობა მიიღო სახელმწიფოს, საზოგადოებრივი დოვლათის ხარჯზე, მაგრამ არ ფიქრობს აუნაზღაუროს მათ ეს ხარჯები, უარს ამბობს შეთავაზებულ სამუშაოზე, რაიონში წასვლაზე. ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ხელებდაკაპიწებული, მთელი თავდადებით შრომობს და აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, არც ერთ მოქალაქეს არა აქვს უფლება განზე იდგეს საზოგადოებისაგან და თავს არიდებდეს შრომას, მშობლების ხარჯზე ან არაწესიერი საშუალებებით ცხოვრობდეს. უსაქმურებისა და თაღლითებისათვის არ უნდა იყოს ადგილი ჩვენს საზოგადოებაში. ვინც არ შრომობს, ის არც უნდა ჭამდეს. უნდა შევქმნათ ისეთი ატმოსფერო და ისე ავამოქმედოთ საზოგადოებრივი ზეგავლენის ყველა ბერკეტი, რომ უსაქმურების ფეხქვეშ, როგორც იტყვიან, მიწა იწვოდეს. ვისზედაც არ გასჭრის საზოგადოებრივი ზეგავლენა, იძულებითი ზომებით უნდა ჩავაბათ შრომის საერთო ფერხულში.

უსაქმურობისა და უშრომლად ქონების შეძენის, იოლი გზით ცხოვრების უხეშ გამოვლინებას წარმოადგენს სპეკულანტობა, მექრთამეობა, მომხმარებელთა მოტყუება ზომა-წონასა და ანგარიშში.

სპეკულანტი ნამდვილი პარაზიტი, საზოგადოების ხორცმეტია, რომელიც მოკვეთილ უნდა იქნას ჯანსაღი ორგანიზმიდან. სპეკულანტები და მათი ხელშემწყობნი დაუყოვნებლივ უნდა იქნან მხილებულნი და სასტიკად დაისაჯონ საბჭოთა კანონიერების მთელი ძალით. აქაც საზოგადოებრიობამ უნდა შეასრულოს თავისი უდიდესი როლი.

სპეკულაციის ნაირსახეობა, მისი ერთ-ერთი ფორმა, მაგრამ მაინც თავისებური და განსაკუთრებული დანაშაულია ე. წ. კომერციული შუამავლობა, რასაც ადგილი აქვს ჩვენს რესპუბლიკაშიც. არიან ადამიანები, რომლებიც კოლმეურნეობების ან კოლმეურნეებისაგან იღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, გააქვთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში, ჰყიდიან მაღალ ფასებში და ამ გზით მდიდრდებიან. ეს სამარცხვინო, დანაშაულებრივი მოქმედებაა.

ასეთი პირების მიმართ მიღებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის ღონისძიებანი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს ამ კომერციულ შუამავალთა მიმართ თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ვადით, ქონების კონფისკაციით. ჩვენი ვალია გამოვავლინოთ ყოველი ასეთი პირი და დავსაჯოთ კანონის ძალით.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კერძო-მესაკუთრულ ტენდენციებს, პირადი საკუთრების გამოყენებას გამდიდრების მიზნით. ცნობილია, რომ ზოგიერთი მოქალაქე თავისი პირადი ავტომანქანით ეწევა მგზავრების გადაყვანას, ტვირთების გადაზიდვას და ამრიგად მანქანას აქცევს საწარმოო ძალად და შემოსავლის წყაროდ. ამ მოვლენის წინააღმდეგაც საჭიროა ულმობელი ბრძოლა. აქაც საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებასთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის კანონი, რომელიც დასახელებულ მოქმედების გამეორების შემთხვევაში ითვალისწინებს სასჯელს — გამასწორებელ სამუშაოს ერთი წლის ვადით.

მართალია, საბჭოთა კულტურული ვაჭრობა ფართოდ ვითარდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არ იქნა და არ აღიკვეთა გამყიდველთა მიერ მომხმარებლების მოტყუება ზომა-წონაში, ანგარიშში, აქ არ შეიძლება მთელი ძალით არ გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ საქმეში რატომღაც ხშირად პასიურობას იჩენენ თვით მყიდველები, ეგუებიან მოტყუების ფაქტებს, არ იმაღლებენ ხმას, არ მოითხოვენ გამყიდველებისაგან ვაჭრობის წესების მტკიცედ დაცვას, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები არ ქმნიან ისეთ პირობებს, რომ მოქალაქეს ადვილად შეეძლოს გამყიდველის საქციელის მხილება და მისი პასუხისგებაში მიცემა. ასეთი ვითარება ხელს უწყობს მომხმარებელთა მოტყუების გავრცელებას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი პრესაც ნაკლებად ებრძვის ამ სამარცხვინო მოვლენას.

ხომ ფაქტია, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე ხშირად ერთი და იგივე გამყიდველები არიან. ეს ხომ მეტწილად სპეკულანტები არიან, რომლებიც ყიდულობენ პროდუქტებს სოფლად და ქალაქებში ყიდიან ზედმეტ ფასებში. სათანადო ორგანოები რომ შესაფერის ბრძოლას აწარმოებდნენ და ამასთან კარგად იყოს დაყენებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების სათანადო ორგანიზაციების მიერ შესყიდვა და ქალაქში შემოზიდვა, მაშინ ასეთ ფაქტებს ადგილი არ ექნებოდა. მაშასადამე, საჭიროა ბრძოლა და მუშაობის ისე დაყენება, რომ დახურულ იქნას სპეკულაციის ხვრელები.

ასეთი თაღლითები და ყალთაბანდები არიან არა მარტო სავაჭრო ორგანიზაციებში, არამედ სახელმწიფო დამზადების დაწესებულებებშიც. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სპეციალურად შეეხო ამ საკითხს თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. მან თქვა, რომ „დამამზადებელთა შორის არიან უპატიოსნო ადამიანები, ისინი წონაში აკლებენ, ატყუებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს". ამ ჩამბარებელ და დამამზადებელ პუნქტებში იწყობიან უპატიოსნო ადამიანები. ხატოვანად დაახასიათა ეს ფაქტი ნ. ს. ხრუშჩოვმა: „როგორც ფუტკარი და ბუზი ესევა თაფლს, ისე გახრწნილი ელემენტები მიისწრაფიან ამ პუნქტებისაკენ". რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ არ არსებობს კონტროლი. უკონტროლობისა და წაყრუების პირობებში კი შეიძლება პატიოსანი კაციც დაადგეს ცუდ გზას.

ამრიგად, მთელი რიგი ადამიანები უკანონო გზით, უშრომლად იძენენ დიდ ქონებას, მდიდრდებიან საზოგადოების ხარჯზე, დროს უქმად ხარჯავენ, უშინაარსო დროსტარებასა და ქეიფს მისდევენ, და ყველაფერი ეს ხდება პატიოსან ადამიანთა თვალწინ. უფრო მეტიც: ეს უქნარები და თაღლითები პატიოსან მშრომელებს დასცინიან, კვეხნით აცხადებენ, „ცხოვრებას შნო უნდა", „ეს ქვეყანა ცხვრის დუმაა, უნდა მოთალოო" და სხვ. აი მორალური სახე გადაგვარებული ადამიანისა, პარაზიტისა, რომელიც თვითონ არ მუშაობს და სხვასაც დასცინის, ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას.

განა შეიძლება ასეთ ადამიანთა მოთმენა? ასეთ საქმეში წაყრუება დიდად მავნეა.

ადამიანებმა კრიტიკულად უნდა შეხედონ თავიანთ გარშემო მყოფთ — მეზობლებს, ამხანაგებს, ერთად მომუშავეებს, — საიდანა აქვთ მათ უზომო ხელგაშლილობით ცხოვრების საშუალება.

ჩვენ პრაქტიკულად უნდა შევუდგეთ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითების განხორციელებას. „საჭიროა, მაგალითად, დავუკვირდეთ, რა სახსრებით ცხოვრობს ზოგიერთი უპატიოსნო ადამიანი. ხომ ხდება ასე, მაგალითად, კაცი მუშაობს რძის მიღებაზე ან ლუდის კიოსკში. ერთი წელიწადი იმუშავა — ხედავ, სახლი აიშენა. იბადება კითხვა — რა სახსრებით? ცხადია, რომ მცირე შემოსავლით ასეთ სახლს ერთბაშად ვერ ააშენებს. ასეთებზე ამბობენ, გამოუმჟღავნებელი ქურდიაო. მაშ მოდით, ამხანაგებო, ნუ ვიქნებით ფორმალისტები, მოდით პირდაპირ ვკითხოთ ასეთ მუშაკს, რა სახსრებით ააშენა მან სახლი... საჭიროა ვიფიქროთ ისეთ კანონების გამოცემაზე, რომლებიც გაითვალისწინებენ ასეთი სახლების გადაცემას კოლმეურნეობისათვის, საზოგადოებისათვის". თაღლითები და იოლი გზით ცხოვრების მოყვარულნი უნდა გამოვიყვანოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე, ამხანაგურ სასამართლოებში, გავკიცხოთ, დავგმოთ, ხოლო ვინც არ გამოსწორდება, მოვითხოვოთ მათი დასჯა სოციალისტური მართლმსაჯულების წესის მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მოსპობილია სოციალური საფუძველი კერძომესაკუთრული ტენდენციების განვითარებისათვის, წამგლეჯობისათვის, სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრებისათვის. მაგრამ მსგავს მოვლენებს მაინც ვხვდებით. ყოველივე ეს ძველი, ექსპლოატატორული წყობილების ნაშთია, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გამოვლინებაა.

საჭიროა ყოველმხრივ გავაძლიეროთ მასების კომუნისტური აღზრდა, მოვიცვათ მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენა და განსაკუთრებული მუშაობა ვაწარმოოთ შედარებით ჩამორჩენილ ფენებთან და ისეთებთან, რომლებიც ყველაზე მეტად ავლენენ კერძო მესაკუთრულ ფსიქოლოგიას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ადამიანებს მინიჭებული აქვთ ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლებები, მაგრამ მათ არა აქვთ მხოლოდ ერთი უფლება — უშრომლად ცხოვრების უფლება.

სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრისათვის წმიდათა-წმიდა უნდა იყოს კ. მარქსის სიტყვები: „ყოველი შრომისუნარიანი მოზრდილი ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს ბუნების საერთო კანონს, სახელდობრ: რომ ჭამოს, ის უნდა მუშაობდეს და მუშაობდეს არა მარტო გონებით, არამედ ხელებითაც".

**ვ. ესაიაშვილი,**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.



ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობაში მთავრდება ჩაის ბუჩქების გასხვლა-ფორმირება. ამ სამუშაოზე ფართოდ იყენებენ ტექნიკას — თვითმავალ შასებს საკიდი იარაღებით. სურათზე: ჩაის ბუჩქების გასხვლა-ფორმირება.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესი).

# შევქმნათ მაღალიდეური მხატვრული ფილმები

## საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა თათბირი

საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეთა წინაშე გადაშლილია უსაზღვრო შესაძლებლობანი შემოქმედებისათვის, ღრმააზროვან და მხატვრული ფორმით სრულყოფილ შთაგონებულ ნაწარმოებთა შექმნისათვის. პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება მაღალი იდეურ-მხატვრული დონის ფილმების შექმნით კინოს და კინოსტუდიების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისა და კინოფილმების წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ამ მშობლიური მზრუნველობის ახალი მკაფიო გამოვლინებაა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით საბჭოთა კინემატოგრაფიის ამოცანებს მიეძღვნა კინოსა და კინოსტუდიების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, კულტურისა და სკოლების განყოფილებამ. თათბირზე, რომელმაც ორ დღეს გასტანა, შეიკრიბნენ კინორეჟისორები, ოპერატორები, მხატვრები, მსახიობები, თეატრის მოღვაწეები, მწერლები, კომპოზიტორები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ნ. ჯიბლაძემ** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **მ. ი. კუჩავამ**.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, კულტურისა და სკოლების განყოფილების გამგემ **თ. ბუაჩიძემ**. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **დ. ჩხიკვიშვილმა**.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კინორეჟისორებმა: რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ, რ. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. კანდელაკმა, თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორმა მ. კვესელავამ, ფილმების წარმოების სამმართველოს უფროსმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ი. რაჩუკმა, მწერლებმა კ. გამსახურდიამ, ა. ბელიაშვილმა, მ. მრევლიშვილმა, მუსიკისმცოდნემ გ. ორჯონიკიძემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველოს უფროსმა პ. კანდელაკმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და ს. ზაქარიაძემ, კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, სტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილების უფროსმა მ. მგალობლიშვილმა, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა ი. თავაძემ, საქართველოს ტელევიზიის მხატვრული გადაცემის მთავარმა რედაქტორმა შ. სალუქვაძემ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც მოწოდებულია წარმოსახოს საბჭოთა ხალხის სახელოვანი საქმენი, მოგვცეს თანამედროვე ადამიანის, ჩვენი დროის გმირის სახე.

წარსულში ფილმების გამოშვების შეზღუდვა ძლიერ აფერხებდა ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას. მთელი რიგი წლების მანძილზე სტუდია „ქართული ფილმი" არ უშვებდა ერთზე მეტ სურათს წელიწადში. სკკპ XX ყრილობის შემდგომი პერიოდი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი იყო საბჭოთა ხელოვნებისათვის და მასთან ერთად კინოსათვის. ამ ბოლო დროს საქართველოს კინემატოგრაფიამ გამოაცოცხლა მუშაობა და 1955-დან 1960 წლამდე გამოუშვა 28 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

შარშან სტუდია „ქართულმა ფილმმა" გამოუშვა 5 მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმი. მაგრამ, როგორც ორატორები აღნიშნავდნენ, გამოშვებულ მხატვრულ ფილმებს, გარდა „ოტელოსი", აქვთ ცალკეული სერიოზული ნაკლოვანებანი: თემის სიწვრილმანე, სქემატიზმი, თემის პრიმიტიული გადაჭრა, სიუჟეტის უხერხემლობა, მკაფიო სახეების უქონლობა.

გასულ 1960 წელს კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" შეასუსტა შემოქმედებითი საქმიანობა. სრულფასოვანი ლიტერატურული სცენარების უქონლობამ, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევამ, გადამღები ჯგუფებისადმი სუსტმა კონტროლმა, რეჟისორების მიერ სცენარის ცალკეული ეპიზოდების თვითნებურად შეცვლამ გადაღების დროს განაპირობა ფილმების წარმოების გეგმის შეუსრულებლობა. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის აგრეთვე სტუდიის სამხატვრო საბჭოს, რომელიც არ იჩენდა საჭირო პრინციპულობას ცალკეული სცენარებისა და ფილმების შეფასებაში.

სერიოზული საუბარი ჰქონდათ თათბირის მონაწილეებს ეკრანისათვის განკუთვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ ბოლო დროს გადადგმულია პირველი ნაბიჯები სასცენარო განყოფილების განსამტკიცებლად და სცენარების მომზადების გასაუმჯობესებლად. ამჟამად სტუდიამ მოიწვია ცნობილი ქართველი მწერლები კ. გამსახურდია, ა. ბელიაშვილი, ლ. გოთუა, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

ჩვენი სასცენო განყოფილების პორტფელში ჯერ კიდევ არ არის საინტერესო, პრობლემატური, ოსტატურად შედგენილი სცენარი. განყოფილება ჯერჯერობით არ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას, პრინციპულობას სცენარების შეფასებისას.

ეს სერიოზული ნაკლოვანებები საგრძნობწილად აიხსნება იმით, რომ კინემატოგრაფისტებს არა აქვთ შემოქმედებითი თანამეგობრობა მწერლებთან. გაკვირვებას იწვევს აგრეთვე კინოსტუდიის არასაკმაო კონტაქტი კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირთან, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს შემოქმედებითს მუშაობაში კინემატოგრაფისტებს. ზოგიერთი რეჟისორი და დრამატურგი ჯერ კიდევ სჯერდება ჩვენი ცხოვრების ზერელედ ასახვას, ღრმად არ სწვდება მას. საბჭოთა მთავრობის ახალი დადგენილება გვავალებს და უფლებას გვაძლევს სამუშაოდან გავათავისუფლოთ ისეთი რეჟისორები და სხვა მუშაკები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ახალგაზრდა სტუდიამ. მაგრამ მის მუშაობასაც ჯერ კიდევ ახასიათებს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. საჭიროა უფრო სრულად და მკაფიოდ აისახოს მუშათა, კოლმეურნეთა, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა შემოქმედებითი ყოველდღიურობა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ნ. ჯიბლაძემ**. მან აღნიშნა, რომ ქართული კინოხელოვნების მუშაკები კეთილსინდისიერად ცდილობენ შექმნან სრულფასოვანი ფილმები, აჩვენონ ახალი ადამიანის ჩამოყალიბება და მისი საქმეების სიდიადე, მკაფიოდ ასახონ თანამედროვეობა. მაგრამ ჩვენს კინემატოგრაფისტებს ჯერ კიდევ არ ჰყოფნით მთავარი: ცხოვრების ღრმა ცოდნა და ადამიანის ხასიათის წარმოსახვა კინოს საშუალებებით. ჩვენი ფილმების მიხედვით იმსჯელებენ ეპოქის შესახებ, [illegible] რებდნენ თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეებს, დღევანდელი დღის ყველაზე აქტუალურ თემებს და მათი მხატვრული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს იდეური შინაარსის მნიშვნელობასა და სიღრმეს.

სტუდიაში აღიზარდნენ ნიჭიერი მსახიობები ლ. აბაშიძე, ლ. ელიავა, ო. კობერიძე, რეჟისორები რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, ი. ქავთარაძე და სხვები. ისინი ქართული კინოს წამყვან ოსტატებთან ერთად დიდ საქმეს აკეთებენ საბჭოთა კინოხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის.

თათბირის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, — ამბობს ამხ. ჯიბლაძე, — მწერლებისა და კინოხელოვნების მოღვაწეების შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცება. თუ ეს არ იქნა, თუ არ გავაძლიერეთ ურთიერთმომთხოვნელობა, პრინციპულობა, ობიექტურობა ერთმანეთის შემოქმედების შეფასებაში, წარმოუდგენელია კინემატოგრაფიის ზრდა, ჩვენი ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის სულიერი სილამაზისა და საქმეთა სიდიადის მართლად ასახვა. საბჭოთა კინოხელოვნების გზაა სოციალისტური რეალიზმი, რომლის ცხოველმყოფელ სხივებს ქვეშ იფურჩქნება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ხელოვნება.

ეჭვი არ არის, თქვა დასასრულ ამხ. გ. ჯიბლაძემ, რომ ქართული კინოხელოვნების მუშაკები ჩვენი სამშობლოს ხელოვნების ყველა მოღვაწესთან ერთად თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის მზადებაში, საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის დღესასწაულს აღნიშნავენ იმით, რომ გაადიდებენ ფილმების გამოშვებას ჩვენი დღეებისა და ჩვენი ადამიანების შესახებ, ეცდებიან, თვითეული ფილმი იყოს ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი ჭეშმარიტად მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოები. (საქდესი).

## სიახლენი სოფლისათვის

### გამჭვირვალე საფარი

ზაფხულის ცხელი დღეა. გახურებული თიბვაა. მინდორზე უკვე აღმართულია სურნელოვანი თივის ზვინები. მაგრამ აი წამოვიდა ღრუბელი, სადაც არის წვიმა მოვა. აქ მინდვრის მშრომელებს დაეხმარება ქიმია. შემუშავებულია მტკიცე და მსუბუქი პოლიმერული აფსკი, რომელიც შეიძლება გადაეფაროს მინდორში დატოვებულ არა მარტო თივას, არამედ კარტოფილსაც და ჭარხალსაც. ბოსტნეულს ყინვაც კი ვეღარ ავნებს.

პლასტმასის აფსკი საიმედოდ იცავს ყინვის, წვიმისა და ქარისაგან საადრეო კომბოსტოს, ხენდროს და სხვ. ამ აფსკის გამოყენება შეიძლება სილოსის საცავებში, მისგან აკეთებენ რძის გადასაზიდ ავზებს, იგი ცვლის მინას სათბურებში.

ეს პლასტმასა ტენშეუვალი, ქაღალდივით მსუბუქი და მინასავით გამჭვირვალეა, ქიმიურად მდგრადია, როგორც ძვირფასი ლითონი, და ელასტიკურია. იგი შეიმუშავეს აფსკოვანი მასალებისა და ხელოვნური ტყავის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

### ტანკი... რძისათვის

30 ათას ლიტრ რძეს იტევს უზარმაზარი რძის ტანკი, რომელიც ახლახან დაამზადა კურგანის სახალხო მეურნეობის საბჭოს დალმატოვის ქარხანა „მოლმაშსტროიმ".

ამ ავზის სიგრძე აღწევს 7 მეტრს, დიამეტრი — 2 მეტრი და 90 სანტიმეტრია. ავზი 5 ტონას იწონის. საინტერესოა მისი ტექნიკური მონაცემები: რძე მასში ინახება ორი დღეღამის განმავლობაში. სპეციალურ ავტომატურ პულტზე დამონტაჟებულია დროის რელე, თერმომეტრი, ავსების მაჩვენებელი ხელსაწყო. ყოველ სამ საათში ავტომატურად ჩაირთვება ხოლმე ელექტრომოტორები, რომლებიც ამოძრავებენ რძის მოსარევ ფრთებს.

წელს ქარხანა გამოუშვებს კიდევ სამ ასეთ ტანკს.

# ჩიტიას მთასთან

### ნარკვევი

ბარში უკვე ია-ენძელებით მოსულა გაზაფხული. გაშლილან ნუშის, ატმის, ტყემლის კვირტები. ეზოებში ფერადი ყვავილებია.

შორს თოვლით შევერცხლილან გურია-აჭარის მთები. მზეზე ბრწყინავენ მათი თეთრი თხემები. გედებივით მიცურავენ ზღვიდან დაძრული ღრუბლები.

უმზერ ცას და ვერც ამჩნევ, თუ რა მძიმე-მძიმედ მიდიან ჭაღარა მთებისკენ ტყვიისფერი ღრუბლები.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც დათიკო შევარდნაძის ბომბის ხმა მიწყდა და რაც იმ თოფების ცისფერი კვამლი გაიფანტა. გადაიარა გრიგალმა, მაგრამ დარჩა გმირულ ბრძოლათა მოგონება, დარჩა თეთრი ობელისკი, მაღლობიდან რომ გადაჰყურებს წალკოტად ქცეულ მიდამოებს ნასაკირალთან, ჩიტიას მთასთან.

ამ ობელისკიდან იწყება ძიმითის მიწა-წყალი.

მდორეა მდინარე სუფსა. საუკუნეთა მანძილზე გაკაფულ გზას მისდევს ამ მთებს შუა. რა იცის ლაღად მიმავალმა წყალმა, თუ რა მედგარი ბრძოლითა და შრომით მოიპოვეს ახალმა ადამიანებმა სიმდიდრე, სიუხვე, სიხარული!

წინათაც ასე მედიდურად იდგნენ ეს მთები. ძეძვნარით და ციცაბარდებით დაბურულ ტყეში ღმუოდა მშიერი ნადირი. შტოებზე ჭახჭახებდნენ შაშვები, გალობდნენ ბულბულები. ფრინველებს უყვარდათ ეს ნარ-ეკალი, ქოხმახებში მცხოვრებ ძიმითელ გლეხებს კი მძიმე დარდი ერეოდათ.

აბა ახლა მობრძანდით, ნახეთ განახლებული ძიმითი!

ჩიტიას მთასაც უცვლია ფერი, მერე რანაირად! მწვანე ფერი მაინც სამარადოდ დამკვიდრებულა ამ მიდამოში. ეს ფერი, ახალმოსული გაზაფხულის ფერი კი ჩაის მწვანე ბუჩქებმა გაამეფეს გორაკებზე, ფერდობებზე, სუფსის ნაპირებთან.

— სუფსელებო, გაიღვიძეთ! — ვაჟკაცურად მღეროდნენ თურმე, თანაც გულიდან ამოჭკნდათ ცრემლნარევი სიტყვები: რა დროს თქვენი ძილიაო!

ნატვრა აუხდათ. სუფსამაც, ძიმითმაც გაიღვიძეს ამ ორმოცი წლის წინათ. სამუდამოდ გაქრა მათი ტკივილიც. ამას გვეუბნება ახლახან აგებული ის დიდი ხიდიც, რომელიც სოფელს კი არა, დიდ ქალაქსაც დაამშვენებდა.

პირველად შევდგი ფეხი ძიმითის ამ დიდებულ ხიდზე, სუფსის ზვირთებს გააყოლე თვალი. შავი ზღვისკენ მიილტვოდა ლურჯი მდინარე. იგი ხომ სულ ასე მოედინება მოდის და მოდის გურია-აჭარის მთებიდან, ახლა რომ თეთრად უკამკამებს დათოვლილი მხრები.

ვუცქერდი წყალს და ფიქრით ვიხედებოდი წარსულში. როგორ იცვალნენ დრონი! ერის წყლულით გულდაკოდილ დიდ მამულიშვილს, უკვდავ ილია ჭავჭავაძეს თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას შორის ჩატეხილი ხიდი აფიქრებდა.

რევოლუციამ გადაწყვიტა კლასობრივი ჭიდილი. ამ დიადი გამარჯვების ბრწყინვალე დადასტურებაა ძიმითის მშვენიერი ხიდიც.

ახლა ამ ხიდზე, სიცოცხლისა და სიყვარულის ხიდზე საკუთარი „ვოლგით" ჩაივლის ხოლმე ყოფილი ღარიბი გლეხი, ახლა შეძლებული კოლმეურნე კალისტრატე ანდღულაძე.

ახალი მსუბუქი მანქანის შეძენით დაიწყო ახალი წელი სიმინდის მაღალი მოსავლის ამ სახელოვანმა ოსტატმა. შარშან მან ას ორმოცდათექვსმეტი ცენტნერი სიმინდი მოიყვანა ჰექტარზე. ეს სარეკორდო მოსავალი იყო.

ოფლით აპოხიერებდნენ სუფსის პირას მოშრიალე სიმინდის ყანებს კალისტრატე ანდღულაძის თანასოფლელები. რეკორდსმენ მესიმინდეს მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდა მერგოლური გური ანდღულაძე, შალვა სალუქვაძე, აბესალომ ჯახუტაშვილი, ბესარიონ კაკელია, ივანე ჩხაიძე და სხვები, რომლებსაც ჰექტარზე 80-110 ცენტნერი სიმინდი მოუყვანიათ.

კოლმეურნეებმა წელს უფრო გადიდებული ვალდებულება იკისრეს — ბევრად გაზარდონ როგორც სიმინდის, ისე ჩაისა და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა.

მაგრამ მარტო სიმინდის მოყვანით როდი შემოიფარგლება ამ ადამიანთა გმირული შრომა კოლმეურნეობაში. მათი ზრუნვით გახარებულია ჩაის, ნარინჯის, ტუნგის, ბამბუკის პლანტაციები და ვენახები.

რკინაბეტონის დიდი ხიდი ჩაის ფულით აგებული ხიდია. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ აღორძინა ჩაის კულტურის განვითარებამ ოდესღაც მიყრუებული სოფელი ძიმითი.

მთა-გორაკებს შეჰფენია ჩაის ბუჩქები. მინდა თავზე ხელი გადავუსვა, მივუალერსო, ორიოდე სიტყვაც ვუთხრა, მაგრამ გამიგებს კი!

— მიხვდიო! — თითქოს მეუბნება ლამაზად გასხლული ბუჩქი, ირგვლივ რომ შემოუბარავთ სასუქით გაპოხიერებული მიწა.

— კიდევ რას მეტყვი, ხომ არაფერი გაღონებს, ხმა ამოიღე, მითხერი რამე, ჩემო მშვენიერო ბუჩქო! — მინდა მივმართო მარადმწვანე მცენარეს, დილის რთვილი მზეს რომ გაუშრია და სინათლე კიაფობს სხივზე.

— როგორ არა, სათქმელი ბევრი მაქვს და თუ ყურს დამიგდებ, შრიალით გაგიმხელ ჩემს ვარამს, სიხარულს, გულისნადებს! — მგონი ასე მიპასუხა პატარა ბუჩქმა და თვალწინ გადამიშალა თავისი მომვლელთა მთელი ცხოვრება, გარჯილობა, საქმიანობა.

— მთელი სოფელი ზრუნავს ჩემზე. ყველამ იცის, რომ უყურადღებოდ ვერ გავიხარებ, ფოთოლსაც ვერ მოვისხამ და ბოლოს სულ მოსათხრელი ვიქნები. არა, ეს არ მოხდება. მე სიცოცხლე, გაფურჩქვნა, სარგებლობის მოტანა მინდა. ამიტომაც ვუყვარვარ ადამიანებს.

— ჰო ადამიანები ვახსენე. მერე განა ერთი და ორია ამ სოფელში, მუდამ რომ სათუთად მივლის, მელოლიავება. არა, ბევრი, ბევრია ასეთი ძიმითში, და ზოგის სახელს მაინც გეტყვი. იქნებ იცნობ კიდეც, მაგრამ ჩემგან მაინც გაიგეთ, თუ როგორ მპატრონობს, თვალისჩინივით მიფრთხილდება, — მწვანე ღიმილი მომაფრქვია ბუჩქმა და ჩურჩულით მიამბო:

— გაგიგონიათ ალბათ სოციალისტური შრომის გმირი ელპიტე მგელაძე. მისი რძალი გოგოლაც გმირია. შარშან მათს ოჯახს ასი ათასი მანეთი შემოსავალი მისცა ჩემმა ფოთოლმა, ნარინჯოვნებმა.

— ასევე კარგად, გულისხმიერად მივლიან სოციალისტური შრომის გმირი თამარ ტუღუში და მისი ქალიშვილი მერი, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა. დილიდანვე მოდიან ჩემთან. ამხედდამხედავენ, ნიადაგს გამიფხვიერებენ, ნოყიერი სასუქით გამიმაგრებენ ფესვებს, და მეც, როგორც კი მერცხლის ჭიკჭიკით მოვა გაზაფხული, ლორთქო ფოთლებს მოვისხამ. მაშინ უნდა ნახოთ მათი სიხარული.

— დედა-შვილის სახელი გითხარით. სასიხარულოა რომ მერი, ქართველი დედის თამარის გოგონა, ბევრად უსწრებს ახლა თავის მშობელს. შარშან მან ათასი კილოგრამით მეტი ფოთოლი მოკრიფა, ვიდრე დედამისმა.

მაგრამ სხვებიც არიან სახელოვანნი, წარჩინებულნი. აი თუნდაც სოციალისტური შრომის გმირი საშა ქურიძე. შარშან რვა ათასი კილოგრამი ფოთოლი მომტაცა და მეც მიხაროდა, რომ სიმდიდრე შევიტანე ფუტკარივით მშრომელი ქალის ოჯახში.

— ბევრს ჩამოვთვლი, ძალიან ბევრს, ვინც დღედაღამ ჩემზე ზრუნავდა და ფიქრობდა.

ფიქრში ვსაუბრობდი ჩაის ხუჭუჭა ბუჩქთან. მეგობრული ბაასი კი კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის" თავმჯდომარესთან, სოციალისტური შრომის გმირ სევერიან მუხაშავრიასთან გვქონდა. მან ბევრისმთქმელი ციფრებით გადამიშალა ძიმითის კოლმეურნეობის ზრდისა და აყვავების მთელი სურათი:

— მარტო ჩაით მიღებული შემოსავალი ძველი ფულით ცხრა მილიონ მანეთს აღემატება, ხოლო განუყოფელი ფონდი ოც მილიონ მანეთზე მეტია. ამ შვიდწლედში ავაგებთ საავადმყოფოს, აბანოს, მრავალ საყოფაცხოვრებო შენობას. ძიმითი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სოფელი იქნება გურიაშიო.

გაზაფხულია. კოლმეურნეებს გადაუბარავთ ბაღ-ვენახები, გაჰყავთ სადრენაჟო თხრილები ჩაის პლანტაციებში, შეაქვთ სასუქი, აქედანვე ეყრება მტკიცე საფუძველი მომავალ უხვ მოსავალს ძიმითის პოხიერ მიწაზე.

შეღამდება, და კოლმეურნეები იკრიბებიან ახალ კლუბში, რომელიც კანტორის ახალი შენობის ახლო დგას მწვანე ნარგავებით დამშვენებულ ეზოში. ამ სოფელში ახლა მხოლოდ მდინარე სუფსაა ძველი და კვლავ ძველებურად განაგრძობს დინებას შავი ზღვისაკენ.

ღამე ძილში გაიპარა. თავზე დაგვადგა მზიანი დილა. დავემშვიდობეთ ახალ მეგობრებს და მასპინძლებს გამოვეშურეთ. კეთილმოწყობილ ფართო გზაზე მიჰქროდა ჩვენი მანქანა. ისევ გამოჩნდა ძიმითის კართან მდგომი თეთრი ობელისკი. შევჩერდი, თვალი მოვავლე აყვავებულ მიდამოს და ქაღალდზე გადავიტანე შთაბეჭდილებათა ანარეკლი. გულში გავიფიქრე:

სილამაზე გზაზე გავლით
თვალს ვერ გადაუდია.
სად თოფების თეთრი კვამლი
წლებს და ქარს წაუღია.
დღეს ახარებს გმირთა მხარეს
შრომა გასაკვირალი.
ჩაის ბუჩქთა მწვანე პწკარებს
ხატავს ნასაკირალი.

**ვარლამ ჟურული.**

ძიმითი.

# მარიონეტები ვერ დაასამარებენ კონგოს

# შეწყდეს ატომური გამოცდა!— ასეთია ხალხების ნება

საერთაშორისო
დღეები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

## საზეიმო სხდომა ბუდაპეშტში

**ბუდაპეშტი,** 3 აპრილი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის განთავისუფლების მე-16 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ იანოშ კადარს, ფერენც ნიუმიხს, იშტვან დობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს, საბჭოთა კავშირის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ა. პ. კირილენკოს მეთაურობით, რომლებიც დარბაზში შემოვიდნენ.

მოხსენება უნგრეთის განთავისუფლების მე-16 წლისთავის შესახებ გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ბელა ბისკუმ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა ა. პ. კირილენკომ, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით სხდომის მონაწილეებსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს გადასცა მხურვალე ძმური სალამი და გულითადად მიულოცა დიდი ეროვნული დღესასწაული — ჰორტისტულ-ფაშისტური ჩაგვრისა და ჰიტლერული ოკუპაციისაგან უნგრეთის განთავისუფლების მე-16 წლისთავი.

ა. პ. კირილენკომ წაიკითხა ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებისა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისადმი.

მისალმებას სხდომის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

## „შეთანხმებას შეიძლება მალე მივაღწიოთ“

### ს. კ. ცარაპკინის საუბარი „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტთან

**ნიუ-იორკი,** 3 აპრილი. (საკდესი). ამერიკის რადიო სატელევიზიო კომპანიამ „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემამ“ გადმოსცა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირზე სსრ კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის საუბარი კომპანიის სპეციალურ კორესპონდენტ დ. შორთან. საუბარი ჩაწერილია ფირზე.

**კითხვა:** როგორია, თქვენი აზრით, ამჟამად წარმატების პერსპექტივები ამ თათბირზე.

**პასუხი:** ამჟამად იმ წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა, შეიძლება მალე მივაღწიოთ შეთანხმებას ყველა გადაუჭრელი საკითხის შესახებ, ეს საბჭოთა წინადადებანი უზრუნველყოფენ ეფექტიან კონტროლს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დაცვისადმი და ამავე დროს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია შეთანხმებისათვის ითვალისწინებენ მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარის ინტერესებს. მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელი მთავრობის უარყოფითმა პოზიციამ შეუშალა ხელი შეთანხმების მიღწევას ამ სამართლიან საფუძველზე.

შეერთებული შტატების ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ ისწრაფვის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ჟენევის თათბირის მომავალი სესია კონსტრუქციული გახადოს და სურს წარმატებით დამთავრებამდე მიიყვანოს ამ თათბირის მუშაობა.

ამერიკის მხარის ამ განცხადებათა მიხედვით, ჩვენ მოველით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახლა მზად იქნებიან დაიკავონ პოზიცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევთანხმდეთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ წინადადებანი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ჟენევის თათბირზე შეიტანა 21 მარტს ცოტა რამეს შეიცავენ ახალს. ისინი ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ წინანდელ მიუღებელ პოზიციებზე რჩებიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა ინსპექციათა კვოტა, საკონტროლო საგუშაგოებისა და საინსპექციო ჯგუფების პერსონალის დაკომპლექტება, იმ კრიტერიუმთა საკითხში, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ საეჭვო მოვლენების შერჩევისას, რომლებსაც ინსპექცია უნდა გაეწიოს. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ მიუღებელ პოზიციებზე რჩებიან აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიაზე საკონტროლო საგუშაგოების რიცხვის საკითხში, მორატორიუმის ხანგრძლიობის საკითხში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებში.

მოლაპარაკების წარმატება ახლა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არიან მზად შეერთებული შტატები გამოიჩინონ კეთილი ნება და მიიღონ სსრ კავშირის კომპრომისული წინადადებანი ყველა გადაუჭრელი საკითხის შესახებ.

**კითხვა:** ამიხსენით, თუ შეიძლება, რატომ არის დიდმნიშვნელოვანი საფრანგეთის ატომური იარაღის გამოცდის საკითხი ამ თათბირისათვის?

**პასუხი:** ამ კითხვის დასმა იმან გამოიწვია რომ საფრანგეთი უგულებელყოფს ყველა ხალხის მტკიცე პროტესტს, უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, აწყობს ატომური იარაღის გამოცდას და აცხადებს ამ გამოცდას კვლავაც განვაგრძობთ. ის გარემოება, რომ საფრანგეთი განაგრძობს ატომური იარაღის გამოცდას, სერიოზულად ართულებს ჩვენს მოლაპარაკებას ჟენევაში. ჩვენ ჩვენი მოლაპარაკების დროს არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ ახორციელებს რა ატომური იარაღის გამოცდას, საფრანგეთს, როგორც ნატოს წევრს შეუძლია ნატოში სამოკავშირეო ვალდებულებათა წესით ამ სამხედრო დაჯგუფების სხვა წევრების მაგიერ ესე იგი შეერთებული შტატებისა და ინგლისის მაგიერ შეასრულოს გარკვეული სამუშაოები ატომური იარაღის გასაუმჯობესებლად, ხოლო შესაძლოა, ახალი ტიპის ამ იარაღის შესაქმნელადაც. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი მდგომარეობის განგრძობას შეუძლია ცალმხრივი სამხედრო უპირატესობანი მიანიჭოს დასავლეთის სახელმწიფოებს. ყოველივე ეს იმის საფრთხეს ქმნის, რომ გაქარწყლდეს გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, უსაგნო გახდეს ასეთი ხელშეკრულება. ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები საჭირო დასკვნებს გამოიტანენ აქედან.

**კითხვა:** ამიხსენით, თუ შეიძლება, თქვენი ახალი წინადადებანი სამმხრივი ადმინისტრაციული საბჭოს შესახებ საკონტროლო ორგანიზაციისათვის.

**პასუხი:** საბჭოთა კავშირმა წინადადება შეიტანა შეიცვალოს ერთპიროვნული ადმინისტრაციული საკონტროლო სისტემა კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოთი — ადმინისტრაციული საბჭოთი, რომელშიც შევა სამი წევრი და რომელშიც თანაბრად და თანასწორი უფლებებით იქნება წარმოდგენილი სახელმწიფოების სამი ძირითადი ჯგუფი— დასავლეთის ქვეყნების ჯგუფი და მათი მოკავშირეები, სოციალისტური ქვეყნების ჯგუფი და ნეიტრალისტური სახელმწიფოების ჯგუფი.

რეორგანიზაციის საჭიროებას ის იწვევს, რომ ახლანდელ პირობებში ერთპიროვნულ ადმინისტრატორს საერთაშორისო ორგანიზაციებში ადვილად იყენებენ დასავლეთის სახელმწიფოები, რათა თავიანთი საკუთარი ხაზი განახორციელონ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესების საზიანოდ. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს ჰამარშელდის სამარცხვინო საქმიანობა კონგოში კოლონიზატორების ინტერესებისათვის.

ასეთი კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოს შექმნა იმით არის ნაკარნახევი, რომ ამ ორგანოს დაეკისრება განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დიდ მნიშვნელოვანი საკონტროლო ღონისძიებანი, და შეუწყნარებელია, რომ ეს ფრიად პასუხსაგები საქმე ერთი პიროვნების ხელში იყოს.

## პატრის ლუმუმბას სახელობის სკვერი

**პარიზი,** 4 აპრილი. (საკდესი). მალის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ რესპუბლიკის დედაქალაქ ბამაკოში გახსნა პატრის ლუმუმბას სახელობის სკვერი. ეს სკვერი გაშენდა „კონგოს კვირეულის“ გამო, რომელიც ახლა მთელ მალიში იწყობა. პატრის ლუმუმბას სახელობის სკვერის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ მთავრობის წევრები, მმართველი პარტიის — სუდანის კავშირის ხელმძღვანელები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და დედაქალაქის მრავალი მცხოვრები.

ამ სკვერის ცენტრში, როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, აღიმართება კონგოელი ხალხის ეროვნული გმირის პატრის ლუმუმბას ძეგლი.

# აქილევსის ქუსლი

ამ რამდენიმე ხნის წინათ „განათლების ლიგის“ მიწვევით საფრანგეთში ვიმოგზაურეთ“. მასპინძლებმა პარიზიდან საფრანგეთის მთიანეთის: ზემო სავოის მსოფლიოში განთქმულ კურორტზე, ევროპის სათხილამურო სპორტის ცენტრში შამონიში წაგვიყვანეს.

შამონიში რამდენიმე დღე დავყავით. აქედან კი მასპინძლების წინადადებით შვეიცარიაში გავემგზავრეთ. შამონიდან ჟენევის ანუ, როგორც მას თვით შვეიცარიაში და საერთოდ ევროპაში ეძახიან, ლემანის ტბამდე დაახლოებით სამოცდაათი კილომეტრია.

ფართო გზა, რომელიც შამონის ლემანის ტბასთან აკავშირებს, ბუნების ულამაზეს, უმშვენიერეს მიდამოზე გადის. მეჩვენებოდა, თითქოს საქართველოს მთიანეთში ვიმყოფებოდი. მონბლანი, რომლის მწვერვალი ამომავალი მზის სხივებში კიაფობდა, მეჩვენებოდა, ეგეი დიუ მიდი უშბას მაგონებდა, დიდი ჟორასი ცივგომბორის მთებს, ბრევა კი გურია-აჭარის ქედს.

იქ თითქოს ორგანულად შეერწყა ერთმანეთს სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მრისხანე, მედიდური სილამაზე, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის და კახეთის ნატიფი, ტურფა სიკეკლუცე.

საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკთა ჯგუფს თარჯიმანობას ვუწევდი. ოღონდ იქ, ალპებში, სათარჯიმანო არა იყო რა. გარშემო მდებარე მშვენიერება რაც შეიძლება სრულად რომ აღექვა ადამიანს, აბსოლუტური სიჩუმე, მყუდროება იყო საჭირო. ყველანი სულგანაბულნი შესცქეროდნენ დიდოსტატი ბუნების ამ საკვირველ ნახელავს.

ჩქარი, კომფორტაბელური ავტობუსი მთის გზაზე ნელა მიდიოდა. გვერდით მეჯდა ჯგუფის თანმხლები, ახალგაზრდა ფრანგი მასწავლებელი ჟინეტ გილშო. მუდამ მხიარული, ხალისიანი ჟინეტი ახლა ნაღვლიანი, სევდიანი, ჩაფიქრებული იჯდა და ვერ ამჩნევდა ვერც ბუნების სიდიადეს, ვერც ჩვენს აღტაცებას, მე შევნიშნე ეს სევდა, მაგრამ ვერ გავბედე გამომეკითხა მისი მიზეზი.

ევროპელებს არ უყვართ მათი ინტიმური ცხოვრების სფეროში, განცდათა სამყაროში ნებსით თუ უნებლიეთ, თანაგრძნობის თუ ცნობისმოყვარეობის მიზნით, ვინმე ხელის ფათურს რომ იწყებს. ჟინეტი სდუმდა, თვალებს კი ნამი ეროლდა.

სიჩუმე მან დაარღვია, ჩურჩულით მითხრა: „ბატონო ვლადიმერ, სჯობდა არ წამოვსულიყავი, ცუდად ვარ. ვატყობ, თქვენც გუნებას გიმღვრევთ“.

— ჟინეტ, რა მოგივიდათ?

— რა მომივიდა? ორი წლის წინათ ამ გზაზე ჩემი პატარა ავტომანქანით „პეჟოთი“ მივდიოდი. რა ბედნიერი ვიყავი. გვერდით უმცროსი ძმა მარსელი მეჯდა, უკან კი ჩემი სიძე ალბერი, უფროსი დის მეუღლე. აი ამ გზაზე, ამავე მიმართულებით ოთხმოცი კილომეტრის სიჩქარით მივქროდი, ლოზანაში მივეჩქარებოდით. ახლა კი სად არიან ალბერი და მარსელი. იქ, იმ საშინელ აფრიკაში, ომში, ალჟირისა და ტუნისის საზღვარზე. თვეზე მეტია წერილი არ მიგვიღია. მთელი ჩვენი ოჯახი შფოთავს. პატარა ანატოლი, ჩემი დისშვილი, წამდაუწუმ გაიძახის: „მამა, მამა“. ბოდიშს ვიხდი, ჩემი პირვარამით რომ გაწუხებთ, მაპატიეთ.

ჟინეტის ნაღვლიანი ფიქრები რომ გამეფანტა, საქართველოზე, ჩვენს წარსულზე, ჩვენს აწმყოზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ჟინეტი თითქოს დაწყნარდა და ყურადღებით მისმენდა.

მალე ლემანის ტბაც გამოჩნდა, ყველაზე დიდი ტბა ალპებში, უფრო დიდი, ვიდრე რიწის ტბაა, მასზე გაცილებით უფრო პროზაული, ჩვენი რიწა ხომ პოეზიაა. ქარი ქროდა. ტბა პატარა ზვირთებს აგორებდა, გეგონებოდათ შავი ზღვა დაპატარავდაო.

ავტობუსი ლამაზ ქალაქ-კურორტში ჩავიდა და ინგლისურ ყაიდაზე გაშენებულ ბალ-ბულვარის შუაგულში გაჩერდა. ეს ქალაქი ევიან ლე ბენი იყო, ის ევიანი, ახლა რომ ყველას პირზე აკერია. ევიანში 858 მკვიდრი მოსახლეა. ის განთქმული ბალნეოლოგიური კურორტია, სადაც წინათ ნიკრისის ქარით თუ ართრიტით შეპყრობილი არისტოკრატია მკურნალობდა, ხოლო ახლა სქელკისერიანი ბიზნესმენები მკურნალობენ, ღამე კი ბანქოს თამაშობენ, მილიონებს იგებენ და აგებენ. ევიანი მთაზე შეფენილია, სახლების ფასადები ტბას შესცქერიან. კოხტაა, კეთილად მოწყობილია, სავსეა სასტუმროებით, გასაკვირავებლად აშენებული ულტრამოდერნისტულ ყაიდაზე აშენებული სახლებით, სავაჭროებით, კინოთეატრებით, კაბინებით. ევიენი შვეიცარიის ქალაქებს ჰგავს — მონტრეის, ვევეის, იმ ქალაქს, სადაც ჩარლი ჩაპლინი დასახლდა, მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებული შტატები მიატოვა.

სწორედ ევიენში 7 აპრილს უნდა დაწყებულიყო საფრანგეთისა და ალჟირის დროებითი მთავრობის წარმომადგენლების მოლაპარაკება. ეს მოლაპარაკება ჩაიშალა. საფრანგეთის მთავრობამ სხვადასხვა ახალი პირობები წამოაყენა, რომელნიც ალჟირელი მხარისათვის სრულიად მიუღებელია. ულტრაკოლონიალისტებმა, რომელნიც საფრანგეთში ტერორისტულ აქტებს აწყობენ როცა კი მოისურვებენ, ააფეთქეს ევიენის მერის კამილ ბლანის სახლი, მოკლეს ის და მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე.

კამილ ბლანმა იქ ყოფნისას გულთბილად მიიღო ჩვენი ჯგუფი. კარგა ხანს გვესაუბრა. კამილ ბლანი იმიტომ მოკლეს, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნდა ფრანგთა და ალჟირელთა მოლაპარაკება და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის კეთილად დამთავრებას.

მოლაპარაკება ახლა ჩაიშალა. ის ევიენში აღარ შედგება. ომის გაგრძელება ალჟირში საფრანგეთისათვის სრულიად უშედეგოა. საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკა, რომელსაც დე გოლი ახორციელებს ალჟირში, ჩიხში მოექცა. კოლონიალიზმის მსოფლიო სისტემის მსხვრევის ხანაში ცეცხლითა და მახვილით ალჟირის როგორც კოლონიის შენარჩუნება სრული ავანტიურიზმია. რა რთულიც უნდა იყოს ალჟირის პრობლემა, ამ ქვეყანამ თავისუფლება, სრული დამოუკიდებლობა უნდა მიიღოს და უკვე სუვერენულმა ალჟირმა უნდა გადაწყვიტოს, ვისთან იმეგობრებს, ვისთან გააბამს პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ კულტურულ კავშირს.

ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ალბათ უკვე ესმის ჟინეტს, საფრანგეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს. ეს ჭეშმარიტება გზას იკვლევს იმ წრეებშიც, რომელნიც სულ ორიოდე წლის წინათ მოითხოვდნენ ომს ალჟირში სრულ გამარჯვებამდე.

ორი კვირის წინათ საქართველოში ტურისტად მოგზაურობდა რაიმონ კარტიე, საფრანგეთის ერთ-ერთი დიდი საგამომცემლო გაერთიანების დირექტორი. ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც რაიმონ კარტიეს ტრესტს ეკუთვნის, მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოდის.

რაიმონ კარტიე, მისივე სიტყვით, კათოლიკეა, ჩვენ კი გვგონია, ის ორთოდოქსი კერპთაყვანისმცემელია. კერპი, რომელსაც ის ეთაყვანება, იანკის ბიზნესია. მან ამას წინათ ქებათა-ქების დიდი ტომი უძღვნა იანკის ქვეყანას კი არა, ამერიკის კაპიტალიზმს. რაიმონ კარტიეს რომ შევხვდით, ალჟირზეც ჩამოვუგდეთ საუბარი. „ალჟირი, ალჟირი — გვითხრა მან, — ეს თანამედროვე საფრანგეთის აქილევსის ქუსლია, ალჟირის ომი უნდა გავათავოთ, აუცილებლად უნდა გავათავოთ, მიუხედავად ულტრათა წინააღმდეგობისა, მიუხედავად ბატონ სუსტელის, გენერალ სალანის და პატივმოყვარე ლაგაირდების გაშმაგებული წინააღმდეგობისა. აუცილებლად უნდა მოვუღოთ ბოლო ამ უაზრო სისხლისღვრას. იქ იმსხვრევა საფრანგეთის პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო, მორალური პრესტიჟი. ჩვენ იქ ჩიხში მოვექეცით, როგორმე თავი უნდა დავაღწიოთ ამ ჩიხს“.

ორი წლის წინათ კი „პარი-მატჩი“ ყოველ ნომერში სალანის ფოტოსურათებს აქვეყნებდა და წერდა, ალჟირი საფრანგეთის განუყრელი ნაწილიაო.

**ვლ. მაჭავარიანი.**




**ამერიკის შეერთებული შტატები.** ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ გაიმართა დომინიკელთა, პარაგვაელთა და გვატემალელთა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებიც მოუწოდებდნენ კუბის რევოლუციის მხარდასაჭერად და გმობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ კუბის რესპუბლიკის მიმართ მიღებულ დისკრიმინაციულ ღონისძიებებს. **სურათზე:** დემონსტრანტების კოლონა პლაკატებით, რომლებსაც აწერია: „ხელები შორს კუბისაგან!“, „კუბა თავისუფალი იქნება“.

ფოტო პრენსა ლატინასი.

## «ოპერაცია კონგოში» ჩაიფუშა

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

**ნიუ-იორკი,** 3 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ნ. კრესტნიკოვი იუწყება:

დღეს დილით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელმაც განიხილა მეხუთე კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი. იგი ითვალისწინებს გენერალური მდივნისათვის უფლების მიცემას განაგრძოს მიმდინარე წლის 21 აპრილამდე სახსრების ხარჯვა ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციისათვის კონგოში“ არაუმეტეს 8 მილიონი დოლარისა თვეში.

ამ საკითხზე პირველი გამოვიდა რუმინეთის წარმომადგენელი. მან განაცხადა, რომ „ოპერაცია კონგოში“ მთლიანად ჩაიფუშა და არავითარი საჭიროება არ მოითხოვს შემდგომი ფინანსური ხარჯების გაწევას, რომლებიც არსებითად მოხმარდება კონგოელი ხალხის მოღალატეების ჩომბეს, კალონჯის, მობუტუსა და სხვათა უკანონო მოქმედების მხარდაჭერას. ამიტომ რუმინეთის დელეგაცია, განაცხადა მან, ხმას მისცემს რეზოლუციის წარმოდგენილი პროექტის წინააღმდეგ.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. როშჩინი, რომელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგოს ოპერაციის“ დაფინანსების შესახებ მთლიანად უშიშროების საბჭოს საქმეა და არა გენერალური ასამბლეისა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გადაჭრით გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ჰამარშელდს მიეცეს ახალი სახსრები, რათა დააფინანსოს სავსებით სახელგატეხილი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაცია კონგოში“ ბოლომდე. მან განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ რეზოლუციის პროექტს კენჭი უყარეს. მას ხმა მისცა 51 დელეგატმა, ათმა ხმა მისცა წინააღმდეგ და 22 დელეგატმა თავი შეიკავა.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დილის სხდომა. დღეს დღისით გენერალური ასამბლეა განაახლებს კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვას.

**ნიუ-იორკი,** 4 აპრილი. (საკდესი). 3 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვა. ჩადის წარმომადგენელმა ჟან შარლომ და ნიგერის წარმომადგენელმა ჯერმაკოიემ დაიცვეს კონგოს დანაწილების ცდები. ჟან შარლომ ქება-დიდება შეასხა კოლონიზატორთა მარიონეტების ტანანარივის კონფერენციას. ჯერმაკოიე ბუნდოვანი მსჯელობით ერთიანობისა და თავისუფლების იდეათა შორის წინააღმდეგობის შესახებ ცდილობდა „დაემტკიცებინა“, რომ გარდუვალია კონგოს დანაწილება ცალკეულ პროვინციებად. ილაპარაკა რა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს ტრაგედიის მიზეზებზე, მან თქვა, რომ კონგოელი ხალხი „მომწიფებული არ არისო“ და ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ბელგიელი იმპერიალისტების აგრესიის შესახებ.

კონგოს დანაწილების ადვოკატებს საკადრისი პასუხი გასცა აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეთიოპიის დელეგატმა გაბრე-ეგზიმ. კონგო ერთიანი და დამოუკიდებელი უნდა იყოს, როგორც გათვალისწინებულია კონგოს კონსტიტუციით, განაცხადა ეთიოპიის წარმომადგენელმა. ჩვენ კონგოს დანაწილების წინააღმდეგი ვართ, რა საბაბითაც უნდა ხდებოდეს ეს. ტანანარივის კონფერენციის „დეკლარაცია“ კონგოელთა დოკუმენტი არ არის. იგი წინააღმდეგია აფრიკის ხალხების მოძრაობისა, რომელნიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. გაბრე-ეგზიმ მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი შეუშალოს კოლონიზატორებისა და მათი მარიონეტების ცდებს — მოსპონ კონგო, როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეთიოპიის დელეგატმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს ბელგიელი კოლონიზატორების ჩარევა კონგოს საქმეებში, და მოითხოვა მალე მოიწვიონ კონგოს პარლამენტი.

რადგან მეტი ორატორი არ იყო, გენერალური ასამბლეის დღის პლენარული სხდომა ამით დამთავრდა. კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვა განახლდება 4 აპრილის დილის სხდომაზე.

## რეაქციის ახალი გამოხდომა

**ლონდონი,** 3 აპრილი. (საკდესი). დღეს მარსელში გაზეთ „მერიდიონალ-ლაფრანსის“ საამწყობო საამქროს წინ, სადაც წინათ იბეჭდებოდა კომუნისტური გაზეთი „მარსეიეზი“, აფეთქდა ბომბი, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მარსელიდან.

პოლიციას მიაჩნია, რომ ეს მემარჯვენე ექსტრემისტებმა ჩაიდინეს.

# პროვოკატორები უნდა დაისაჯონ!

**პარიზი,** 3 აპრილი. (საკდესი). ულტრაკოლონიალისტური ელემენტები, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ საფრანგეთ-ალჟირის მოლაპარაკება ალჟირში მშვიდობის აღდგენის შესახებ, კვლავ ჩადიან ტერორისტულ აქტებს საფრანგეთსა და ალჟირში. მათ სცადეს მოეკლათ თვალსაჩინო ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ყოფილი მინისტრი ფრანსუა მიტერანი. აფეთქებამ ძლიერ დააზიანა მისი სახლი პარიზის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, თვითონ მიტერანი, ალჟირში მშვიდობისათვის გრენობლის ამასწინანდელი კოლოკვიუმის მონაწილე, მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა დაღუპვას. გუშინ პარიზის ერთ-ერთ რაიონში მოხდა დაყოვნებული მოქმედების ბომბის კიდევ ერთი აფეთქება.

„ულტრებმა“ სცადეს აგრეთვე აეფეთქებინათ რკინიგზის ვაკისი პარიზსა და კლერმონფერანს შუა. ცენტრალური საფრანგეთის ავტოსტრადებზე „უცნობებმა“ მოაყარეს ლურსმანი და ცდილობდნენ გამოეწვიათ ავტომობილის კატასტროფები.

რამდენიმე თავდასხმა მოხდა აგრეთვე ალჟირის სხვადასხვა ქალაქში, სადაც „ულტრები“ ცდილობენ ანგარიში გაუსწორონ იმ ალჟირელებსა და ფრანგებს, რომელნიც გადაჭრით იბრძვიან კოლონიური ომის შეწყვეტისათვის.

გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყება, რომ ქალაქ ევიან-ლე-ბენის მერიაში, რომლის მერი კ. ბლანი ამას წინათ მოკლეს ულტრაკოლონიალისტებმა, წერილები და დეპეშები მიდის საფრანგეთის ყველა კუთხიდან. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თვალსაჩინო მოღვაწეები და უბრალო ფრანგები მრისხანე პროტესტს აცხადებენ აღვირახსნილი „ულტრების“ ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, მოითხოვენ, რომ მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი და ალაგმონ ფაშისტი არამზადები. ამ წერილებში სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ფრანგები მტკიცედ მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან. მოლაპარაკების დაწყება, აცხადებენ ისინი, ყველაზე უკეთესი და ყველაზე ეფექტიანი პასუხი იქნება „ულტრების“ ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

ევიან-ლე-ბენის კომუნისტური, სოციალისტური და გაერთიანებული სოციალისტური პარტიების ფედერაციები გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში გმობენ „მთავრობის გაუგებარ შემწყნარებლობას „ულტრების“ მიმართ“. „ყველა დემოკრატი, ყველა პატრიოტი, — ნათქვამია ამ განცხადებაში, — მოითხოვს დასაჯონ დამნაშავენი და ისინი, ვინც მათ აქეზებს თავისი პროპაგანდით“.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ქრისტიანულ მშრომელთა კონფედერაციისა და განათლების ეროვნული ფედერაციის ადგილობრივმა განყოფილებებმა სავოის დეპარტამენტის ყველა მცხოვრებს მიმართეს ერთობლივი მოწოდებით — ცხადყონ კ. ბლანის დაკრძალვის დღეს, რომ სურთ მოლაპარაკება და გამოთქვან პროტესტი კოლონიზატორთა თავხედური გამოსვლების წინააღმდეგ. მათ მოუწოდეს მოაწყონ ხვალ ხანმოკლე გაფიცვა მთელ სავოიაში.

ამ დეპარტამენტის (სადაც არის ევიან-ლე-ბენი), ისევე როგორც საფრანგეთის ბევრი სხვა რაიონის ყველა პროგრესული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ამ დღეებში მტკიცედ მოუწოდებს მთავრობას დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან. ყოველგვარი დაყოვნება, ხაზს უსვამენ ისინი, ყოველგვარი მანევრი — მინისტრ ჟოქსის იმ ცდის ტიპისა, რომ გაათანაბრონ ალჟირის მთავრობა და „ალჟირის ეროვნული მოძრაობის“ ერთი მუჭა პოლიტიკანები — მხოლოდ ხელს უწყობს გათავხედებულ კოლონიზატორებს.

## რატომ წავა ჰიუმი ესპანეთს

**ლონდონი,** 3 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი“ კომენტარს უკეთებს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ ჰიუმის მომავალ მაისში მადრიდს გამგზავრებას ესპანეთის მთავრობის მიწვევით და წერს, რომ „ჰიუმის ვიზიტი, როგორც ფიქრობენ, დაკავშირებული იქნება დიპლომატიურ ნაბიჯებთან, რომლებიც ხორციელდება ესპანეთის ნატოში შეყვანის საკითხზე“.

გაზეთი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ჰიუმის გამგზავრება დაგეგმილია ნატოს სესიის გახსნის წინ და აღნიშნავს: „ესპანეთის ნატოში შესვლა, რასაც დაჟინებით მოითხოვს ამერიკა, ამჟამად მიაჩნიათ სასწრაფოდ საჭირო ღონისძიებად ნატოს სტრატეგიის შეცვლის შესახებ საიდუმლო გადაწყვეტილების გამო“. „დეილი ექსპრესი“ აღნიშნავს, რომ სკანდინავიის ქვეყნები წინააღმდეგი არიან ნატოში ესპანეთის შესვლისა ფრანკოს დიქტატურის გამო, მაგრამ „თუ ფრანკო აღადგენს ესპანეთის მონარქიას, რაც დასაჯერებელი ჩანს, ეს წინააღმდეგობა მოისპობა“.




თურქეთის მონაწილეობა ნატოსა და სენტოს აგრესიულ ბლოკებში მძიმე ტვირთად აწვება თურქეთის ეკონომიკას. (გაზეთებიდან).

**ორმაგ მარწუხში...**

ნახ. მ. ოთაროვისა.

## უარი ვთქვათ საბედისწერო გეგმაზე

**კოპენჰაგენი,** 3 აპრილი. (საკდესი). დანია-დასავლეთ გერმანიის გაერთიანებული სარდლობის შექმნის გეგმის განხორციელება თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოუსპობს დანიას, გააძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და გამოიწვევს იმას, რომ მთავრობის წინანდელი განცხადებანი უარი თქვას დანიაში ატომური იარაღის განლაგებაზე, ყოველგვარ აზრს დაკარგავს, თუ დასავლეთ გერმანიის ჯარები აღჭურვილი იქნებიან ატომური იარაღით. ამ განცხადებას შეიცავს დანიის მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი რიგი ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვა ფოლკეტინგისადმი.

ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, ნათქვამია მიმართვაში, უარი თქვას ამ საბედისწერო გეგმის განხორციელებაზე.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

**ბანგკოკი** 3 აპრილი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო დახმარების პროგრამის შესაბამისად დღეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ოფიციალურად გადასცა ტაილანდს 28 რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. გადაცემის ცერემონია გაიმართა დონმიანგის სამხედრო აეროდრომზე, სადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს ამერიკის რეაქტიული ავიაგამანადგურებლების ასაწყობი ქარხანა.

**ლონდონი** 3 აპრილი. (საკდესი). დღეს დამთავრდა ატომური განიარაღების ინგლისელ მომხრეთა 4 დღის ლაშქრობა. დემონსტრანტთა ორმა მძლავრმა კოლონამ 18 ათასი კაცის შემადგენლობით, — დასავლეთისამ, რომელიც მოძრაობდა ოლდერმასტონის ატომური სამეცნიერო-საკვლევი ცენტრიდან, და აღმოსავლეთისამ— ამერიკელთა უეზერსფილდის სამხედრო ბაზიდან წამოსულმა, აავსეს ტრაფალგარის მოედანი ლონდონში, სადაც დაიწყო საბოლოო მასობრივი მიტინგი.

**დელი** 3 აპრილი (საკდესი). ინდოეთი ისწრაფვის გადაუდებლად და მშვიდობიანად გადაიჭრას ყველაზე მწვავე საერთაშორისო პრობლემები, განაცხადა დღეს პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა ნერუმ საგარეო პოლიტიკის საკითხების კამათის დასასრულს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საჭიროა აღდგეს წესრიგი და კანონიერება კონგოში და შეწყდეს ძმათამკვლელი ომი ლაოსში.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურას, ჯავაჰარლალ ნერუმ აღნიშნა, რომ ეს სტრუქტურა უნდა შეიცვალოს დროის მოთხოვნის შესაბამისად.

**პარიზი** 3 აპრილი. (საკდესი). ესპანეთის საჰარის მკვიდრი მოსახლეობის მზარდი მოძრაობა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ აიძულებს ესპანეთის ფრანკისტულ მთავრობას გაძლიერებით გადაიყვანოს იქ ამ უკანასკნელ ხანს სამხედრო ნაწილები და ჟანდარმერია.

ესპანეთის საჰარაში 1 აპრილისათვის გადაყვანილი იყო 3.000-ზე მეტი ჯარისკაცი, უპირატესად ეგრეთწოდებული ესპანური ლეგიონის ნაწილები, რომელიც ცნობილია თავისი „გამოცდილებით“ კოლონიების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში. პარიზის პრესის მონაცემებით, ქალაქ ელ-აიუნის გარნიზონი მარტო ერთ კვირაში თითქმის სამჯერ გადიდდა: იქ მივიდნენ ესპანეთის ცხენოსანი, ქვეით და ჯავშან-სატანკო ქვედანაყოფები.

## „საუნჯის კუნძული“

**პეკინი,** 3 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ი. გავრილოვი იუწყება: „საუნჯის კუნძული“ — ასე ეწოდება ჩინეთში ხაინანის კუნძულს. აქ ჩინეთის ყველაზე სამხრეთ რაიონში ხარობს ბევრი ძვირფასი ტროპიკული კულტურა. სამმილიონიანმა მოსახლეობამ თავისი მეცადინეობით ტროპიკულ ჯუნგლს გამოსტაცა ნაყოფიერი მინდვრები, რომლებზეც უხვ მოსავალს იძლევა ყავისა და კაკაოს ხე, ქოქოსისა და ზეთის პალმები და ასე შემდეგ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კაუჩუკოვანი ჰევეას პლანტაციებს, რომლებიც წლითი წლობით ფართოვდება. ჰევეას ამჟამად უკავია 130 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.

სწრაფად ვითარდება ხაინანის მრეწველობაც. მარტო გასულ წელს აქ ააშენეს 56 სამრეწველო ობიექტი. პროდუქციას უშვებენ სახალხო ხელისუფლების წლებში შექმნილი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების, ქიმიური სასუქის ქარხნები, ცემენტის ქარხანა და სხვები. ზედიზედ შენდება შაქრის, საკონსერვო და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოები.

წლითი წლობით სულ უფრო სრულად ვლინდება კუნძულის წიაღის სიმდიდრე. ახლა ხაინანზე ამოაქვთ ქვანახშირი და ნავთობი, მარილი და ა. შ. განსაკუთრებით ბევრს იღებენ კუნძულზე რკინის მადანს. ხაინანის მადანი შეიცავს დაახლოებით 70 პროცენტ რკინას. მადნეული მდებარეობს ძალიან ახლოს დედამიწის პირიდან, რაც საშუალებას იძლევა დამუშავება აწარმოონ ღია წესით. გასულ წელს აქ ამოიღეს 5 მილიონ ტონაზე მეტი ძვირფასი ნედლეული შავი მეტალურგიისათვის. ხაინანის მადანი გააქვთ ჩინეთის კონტინენტალურ რაიონებში, აგრეთვე პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში.



გაზაფხული.

ფოტოეტიუდი ნ. ბერაძისა.

# მწველავის იუბილე

**თეთრი წყარო.** (საქ. კორ.). ოცი წელია, რაც ა. ზაბნინა ალგეთის კოლმეურნეობაში მწველავად მუშაობს, და თავისი მუყაითი შრომით ყველასაგან გამოირჩევა სოფელში. გასულ წელს ა. ზაბნინამ საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2.500 კილოგრამისა 2.621 კილოგრამი რძე მოწველა. წელს კი მისი ვალდებულებაა ეს ციფრი 3.000 კილოგრამამდე აიყვანოს.

თანასოფლელებმა დიდად დააფასეს ა. ზაბნინას მუყაითი შრომა და მას ამ დღეებში გადაუხადეს დაბადების 40 წლისთავი და მწველავად მუშაობის 20 წლისთავი.

იუბილარის სახელზე მრავალი მოსალოცი დეპეშა მოვიდა. აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. იაკობაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე ვ. მირიანაშვილი და სხვები გულთბილად ულოცავენ სახელოვან მწველავს მუშაობის 20 წლისთავს და უსურვებენ შემდგომ წარმატებებს.

ა. ზაბნინას გადაეცა სამკერდე ნიშანი „სოფლის მეურნეობის წარჩინებული".

## სომეხი მხატვრები ქუთაისში

**სომეხ** მხატვართა ჯგუფი, რომელშიც შედიან ფერმწერები და გრაფიკოსები ტ. საროიანი (ხელმძღვანელი), გ. აგასიანი, პ. მალაიანი, ვ. აფაზიანი და ლ. კოჯოიანი, ეწვია ქალაქ ქუთაისს. მოძმე რესპუბლიკის მხატვრები ფერწერულ და გრაფიკულ ტილოებზე ასახავენ ქუთაისისა და მისი მეზობელი რაიონების საწარმოთა და კოლმეურნეობათა ცხოვრებას, ბუნებას, მატერიალური კულტურის ძეგლებს. მათი ნამუშევრებით დამშვენდება დიდი გამოფენა „საქართველოს გზებზე", რომელიც ერევანში მოეწყობა.

სომეხი მხატვრები ქუთაისში რამდენიმე დღეს დაჰყოფენ. მათ განზრახული აქვთ თავიანთი ნამუშევრების ერთი ნაწილი გადასცენ ქუთაისში ახლადშექმნილ სამხატვრო გალერეას. (საქ. კორ).

## ალბერტო მორავია ქართულად

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" ქართულ ენაზე გამოსცა ცნობილი თანამედროვე იტალიელი ბელეტრისტის ალბერტო მორავიას „რომაული მოთხრობები".

მოთხრობები თარგმნილია ნინო სამუკაშვილის მიერ. წიგნის რედაქტორია ა. ჭუმბაძე, მხატვრობა ეკუთვნის ი. დივნოგორცევა-გრიგოლიას. ტირაჟი 40.000 ცალი, გვ. 550. ფასი 1 მან. 64 კაპ.

## „მოსკვიჩი", პიანინო... ლატარიის ბილეთებით

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში № 1 აფთიაქის თანამშრომელმა მ. აგალაროვამ წარადგინა საქართველოს სსრ 1961 წლის პირველი გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის 63542 სერიის № 141 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი".

ქუთაისის მცხოვრებმა შ. ფურცხვანიძემ 66325 სერიის № 176 ბილეთით მოიგო პიანინო, ხოლო ლ. ჩიტეიშვილმა — 500 მანეთი.

## „თბილისი" დაეხმარა

**16 მარტს** ფეოდოსიიდან კუბისაკენ მიმავალ ტანკერზე, რომელიც საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის თბილისის სახელს ატარებს, მიიღეს რადიოგრამა, რომ გემ „ვილკოვოს" საფრთხე დაემუქრა. მწყობრიდან გამოვიდა მთავარი ძრავი, ზღვის ტალღები გემს საბერძნეთის კუნძულ სტრაფაგესის კლდისაკენ მიაქანებდნენ.

„თბილისის" კაპიტანმა უმალვე შეცვალა აღებული კურსი და გაეშურა საფრთხეში მყოფი გემისაკენ. 17 მარტს ღამით ტანკერი შემთხვევის ადგილზე მივიდა. ტანკერის მეზღვაურებმა ჩვეული მამაცობა გამოიჩინეს, ტალღებთან ჭიდილში ბუქსირზე აიყვანეს გემი „ვილკოვო" და მშვიდობიანად შეიყვანეს იგი საბერძნეთის ნავსადგურ პატრასში.

ამ რთულ ოპერაციაში მოსაზრებულობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ტანკერის ეკიპაჟის 28 წევრს კაპიტანმა მადლობა გამოუცხადა. ეს კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელია ტანკერ „თბილისის" ისტორიაში. მან მეორე დღესვე განაგრძო სვლა კუბისაკენ.

ა. კომახიძე.

# სიცილი, ჯანსაღი სიცილი

თეატრი

**არის** პიესა, ოპერა, კინოფილმი, რომელსაც მალე ივიწყებს მაყურებელი. მათ ვერ შველის რეკლამა, ვერც ჩინებული მხატვრული გაფორმება და ვერც ნაჩქარევი შექება პრესის ფურცლებზე. უინტერესო ნაწარმოები ადრე შორდება სცენას და ეკრანს.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ განხორციელებული დადგმა ახალგაზრდა დრამატურგის ნოდარ დუმბაძის პიესისა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", რომელიც ექვსი თვეა მაყურებლის ინტერესს იწვევს. პიესას აქვს ჩრდილოვანი მხარეებიც. მაგრამ მასში დასმული ცხოვრებისეული საკითხები სამართლიანად იპყრობს ყურადღებას.

როგორც კი ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", რეჟისორი გრიგოლ ლორთქიფანიძე მაშინვე მიხვდა მომხიბვლელი იუმორით აღსავსე ნაწარმოების ინსცენირების შესაძლებლობას. თეატრმა ავტორი დაიახლოვა და შეიქმნა წარმოდგენა, რომელმაც მაყურებელთა მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

ჩვენს მაყურებლებს სწყურიათ სიცილი. იგი ხომ ჯანსაღი სულის, თავის თავში დაჯერებული, მომავლის რწმენით ანთებული ადამიანის მოთხოვნილებაა! მსახიობები წრფელად, გულთბილად გამოხატავენ ჩვენი დროის სოფლის ადამიანებს, ამ ადამიანთა ხალისიან, კეთილ ურთიერთობას.

წარმოდგენის წარმატებას წინ უძღვის სახალხო არტისტი სესილია თაყაიშვილი, რომლის მიერ დიდედას როლის ხორცშესხმა სიმართლის განსახიერების მწვერვალზეა ატანილი. რეალისტური შემოქმედებითი სრულყოფის თვალსაზრისით ეს სახე შეიძლება თამამად გვერდში ამოვუყენოთ უშანგი ჩხეიძის ყვარყვარეს, ვასო გოძიაშვილის ლუარსაბ თათქარიძეს, გიორგი შავგულიძის ხარიტონს და შალვა ღამბაშიძის ანთიმოზს. სესილია თაყაიშვილის დიდედა ტიპიურია არა მარტო გარეგნული სახიერებით, საოცარი პლასტიკური გამომსახველობით და მეტყველების კილოთი, არამედ რაც მთავარია, განსახიერების ეროვნული კილოთი და სულიერი ცხოვრების შთამბეჭდავი და დამაჯერებელი მხატვრობით, თანაც მსახიობი მადლმოსილია ზომიერების უტყუარი ალღოთი, მომხიბვლელი სისადავით და ბუნებრივობით, გულში ჩამწვდომი წრფელი განცდით, ვინც ერთხელ მაინც ნახავს სესილიას მიერ გამოკვეთილ დიდედას, არასოდეს არ დაავიწყდება წელთა სიმრავლით მოხრილი მოხუცი, მისი მთრთოლვარე თითები, ომში წასული ვაჟკაცებისათვის მატყლის წინდას რომ იწყებენ. და უნდა ითქვას, რომ ეს სურათი დიდედას სახლში, სადაც საბჭოთა მეომრებისათვის გასაგზავნი საჩუქრები გროვდება, არის ამ წარმოდგენის ყველაზე მეტად ღირებული, სათუთად და აზრიანად განსახიერებული სცენა.

ამ წარმოდგენის ღირსებაა, რომ ჩვენი სოფლის ადამიანთა უფროსი თაობა და მისი მოზარდი შთამომავლობა სულიერი ცხოვრების ერთობით, ამაღლვებელი სასიყვარულო ურთიერთობით არის გამოხატული. მართლაც ეს ოთხეული: დიდედა (სესილია თაყაიშვილი), ილიკო (ალექსანდრე ჟორჟოლიანი და ვახტანგ ნინუა), ილარიონი (გრიგოლ კოსტავა) და ზურიკო (ლეო ანთაძე) შესანიშნავი სახიერებაა იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს საფუძველი ძველი და ახალი თაობების დაპირისპირებისა, რომ მათ ერთი საერთო მიზანსწრაფვა აქვთ, ურთიერთზე ზრუნვა და ურთიერთის სიყვარული ამოქმედებთ. თანაც ამის გამოხატვის ძალა ძლიერდება იმით, რომ ყოველივე ეს უკუთქმით, გარდათქმით არის გამახვილებული: დიდედას შვილიშვილისადმი წყევლაკრულვაში, ილარიონის, ილიკოსა და ზურიკოს ავსიტყვაობაში იგრძნობა ურთიერთის ღრმა სიყვარული.

მთლიანად ამ სპექტაკლის და კერძოდ ს. თაყაიშვილის, ა. ჟორჟოლიანის, გრ. კოსტავას, ლ. ანთაძის, ეკ. ვერულაშვილის (დეიდა მართა), ტ. საყვარელიძის (ამბაკო), ა. სიხარულიძის (ანტიფო), ი. ბოკუჩავას (მერი) წარმატება გამოწვეულია იმით, რომ წარმოდგენის შემოქმედმა კოლექტივმა შეძლო მაყურებლისათვის ინტიმურად ახლობელი გაეხადა მსახიობთა მიერ განსახიერებული გმირები.

ალ. ჟორჟოლიანსა და გრ. კოსტავას მარჯვედ აქვთ მონახული ილარიონის და ილიკოს განსახიერებისათვის გამომსახველი საშუალებანი. მათ შექმნეს იუმორით და წრფელი განცდით აღსავსე სახეები. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ აქ შეზღუდვაც იგრძნობა. თვით ინსცენირებითაც ეს სახეები უფრო მახვილსიტყვიერების რუპორებად არიან გადაქცეულნი და, რასაკვირველია, აკლიათ ხასიათის ინდივიდუალური თვისებები, მათი წონა და მნიშვნელობა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში მკრთალად არის შეფასებული და ამიტომაც ძნელად თავისუფლდებიან ერთფეროვნებისაგან და იძულებული არიან როლი „გაწელონ", გაიმეორებასა და გაზვიადება-გადაჭარბებასაც კი მიმართონ.

უკანასკნელ დადგმებში ილიკოს როლში გამოვიდა ვახტანგ ნინუა, რომელმაც თავისებური იუმორით და სცენური სახისადმი თბილი დამოკიდებულებით განახორციელა ილიკოს როლი.

ზურიკოს როლის შემსრულებელი ლეო ანთაძე ზედმეტად არის დატვირთული. ამ წარმოდგენაში ის ავტორიც არის და ზურიკოც. ერთსაც და მეორესაც ლ. ანთაძე მარჯვედ უმკლავდება და მარჯანიშვილის სკოლის შესანიშნავ მსახიობთა გვერდით მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს, რაც იმის მომასწავებელია, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა ახალ თაობას ნიჭი და უნარი შესწევს განაგრძოს ამ თეატრის საქვეყნოდ სახელთქმული სამსახიობო ოსტატობის მოწინავე ტრადიცია. ლეო ანთაძემ მოზარდის და შემდეგ ჭაბუკი ზურიკოს სიცელქე, სინცე და სიხალისე წარმატებით განასახიერა.




რეჟისორულად კარგად ჩაფიქრებული და სატირიკული სიმახვილით განხორციელებული სკოლის სცენა სადავოა, ისევე როგორც სოფლის ექიმისა და თელის ექიმბაშის ეპიზოდები, ეს სცენები იმდენად განსხვავებულია ჟანრობრივად და სტილისტურად პიესისადმი მიმართებით, რომ მსახიობთა შემოქმედების მხრივაც სრულიად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვენ. მსახიობებმა დ. ქუთათელაძემ (ქიმიის მასწავლებელი), რ. ხობუამ (სოფლის ექიმი), თ. მაისურაძემ (ექიმბაში) მკვეთრი სატირიკული გროტესკული სახეები შექმნეს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა დ. ქუთათელაძეს.

ბოლო დროს ჩვენს თეატრებს აშკარად ემჩნევათ დეკორაციული და მუსიკალური გაფორმების გალარიბება. კარგია, რომ დადგმებზე ვგრძნობით ხეტყე აღარ იხარჯება, მაგრამ თეატრს, რეჟისორსა და მხატვარს ახლა მეტი გამომგონებლობა, მეტი გემოვნება, მეტი მხატვრული თავმოყვარეობა მართებთ.

მხატვარ ო. ლითანიშვილს ბრალი არ მიუძღვის გაფორმების სტილის აღრევაში, წარმოდგენაში უკიდურესად პირობითია სოფლის ხედი და ფოტოგრაფიულად ნატურალისტურია ოთახი. სრულიად აუტანელია თეატრიდან ცოცხალი მუსიკის განდევნის ცდა, ორკესტრის მაგნიტოფონით შეცვლა. თეატრებმა არ უნდა დაკარგონ წლების მანძილზე მოპოვებული სპექტაკლების მხატვრული კულტურის მაღალი დონე.

კარგი აზრია წარმოდგენის მუსიკალური თანხლებისათვის ქართული გუნდური სიმღერების გამოყენება, მაგრამ ესეც უნდა ხორციელდებოდეს ამა თუ იმ ხალხური სიმღერის სპექტაკლში მექანიკური ჩართვით კი არა, არამედ პიესით დასახული ამოცანის შესაბამისად.

თეატრის ცდა, რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის მისწრაფება თანამედროვე თემაზე შექმნას წარმოდგენები უთუოდ მხარდასაჭერია. ჩვენ უპირველესად ყოვლისა ამ წარმოდგენის კარგი და მოსაწონი მხარე გვაინტერესებს, რადგან ვიცით, თუ რაოდენ რთულია თანამედროვე თემაზე სრულქმნილი ახალი ნაწარმოების შექმნა. ამიტომაც ვუფრთხილდებით და ვაფასებთ მსახიობთა მიღწევას, ყოველ ჯანსაღ მარცვალს, რომელსაც ახალ წარმოდგენებში ვპოულობთ. ამასთანავე არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ: საბჭოთა თეატრის ძალა მისი მაღალი იდეურობაა და გვინდა რომ სიცილით სიმღერაც ჩვენი ხალხის ღირსების გამომხატველი იყოს.

**დ. ჯანელიძე.**

* * *



**სურათზე:** სცენა მესამე მოქმედებიდან. (მარცხნიდან მარჯვნივ) ილარიონი — გ. კოსტავა, ილიკო — ა. ჟორჟოლიანი, ბებია — ს. თაყაიშვილი და ზურიკელა — ლ. ანთაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

# ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

**დაიწყო** საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მეორე ნახევარი. მართალია, ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა გათამაშების ცხრილში არ შეცვლილა, მაგრამ ბრძოლის სიმწვავემ იმატა.

განვლილ შეხვედრებთან შედარებით, გუშინდელი მეცხრე ტური ყველაზე შედეგიანი იყო. ამ დღეს გათამაშებული რვა პარტიიდან რვავე დამთავრდა.

ჩემპიონატის მონაწილეთა შორის კვლავ წარმატებით განაგრძობს ბრძოლას ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი. მან მეცხრე ტურის პარტიაც თავის სასარგებლოდ წარმართა ს. ივანოვას წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა.

ა. ჩაიკოვსკაიამ თეთრებით თ. ხუგაშვილის წინააღმდეგ დებიუტიდანვე გარკვეული უპირატესობა მიიღო და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ამავე ტურში ქ. გოგიავამ დაამარცხა ნ. დიატლოვა, ნ. მანველოვამ — ზ. კალანდარიშვილი, ნ. ფანქველაშვილმა — ო. შათირიშვილი.

ი. გედევანიძე - გ. ბუცხრიკიძის, ლ. ნაჭყებია - ვ. ტატარინოვასა და მ. ნამორაძე - დ. ღლონტის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

ცხრა ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ა. ჩაიკოვსკაიას 8 ქულა აქვს, ქ. გოგიავას — 6,5 ქულა, ნ. მანველოვას — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია.

დღეს გაიმართება მე-10 ტური.

## ირანელთა გამგზავრება

**გუშინ** ირანის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები, რომელმაც საქართველოს გუნდთან შეხვედრაში დამარცხება (3,5:4,5) განიცადა, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან ბაქოში გაემგზავრა.

დღეს ირანელები ბაქოში გამართავენ უკანასკნელ შეჯიბრებას აზერბაიჯანის ნაკრებთან. აზერბაიჯანის ნაკრების საორიენტაციო შემადგენლობა ასეთია: ჯამილოვი, იბრაგიმოვი, გაჯიევი, ბესტაევი, გორბატენკო, აქსიონოვი, ალბული, ძარასოვი.

განვლილი სამი შეხვედრის შედეგია 13,5:10,5 საბჭოთა მოჭიდავეების სასარგებლოდ.

## უცხოეთის სტადიონებზე

**გამოვლინდა** ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების კიდევ ერთი ნახევარფინალისტი ფეხბურთში. ეს გუნდია პორტუგალიის „ბენფიკი", რომელმაც დანიის ქალაქ ორხუსში დაამარცხა ამავე ქვეყნის ჩემპიონი „ორხუსი" ანგარიშით 4:1. „ბენფიკმა" ორი მატჩიდან ორივე მოიგო ბურთების საერთო შეფარდებით 7:2.

**ბრაზილიის** ერთ-ერთი საკლუბო გუნდი „ბანგუ" ტურნეს მართავს ევროპაში. პირველი საერთაშორისო ასპარეზობა ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა გამართეს ბელგრადში ადგილობრივი გუნდის „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ. სტუმრებმა გამოამჟღავნეს შესანიშნავი ტექნიკა და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (2:0).

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები ეწვია ჩილეს, სადაც მომავალ წელს შედგება დასკვნითი შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე. სანტ-იაგოში სტუმრები შეხვდნენ ჩილის ეროვნულ ნაკრებს. ჩილელმა ფეხბურთელებმა შეჯიბრება ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს 3:1.

## საქართველოს პირველობა ფეხბურთში

**დაიწყო** საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. უძლიერესთა ჯგუფში წარმოდგენილია ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 28 გუნდი, რომლებიც გაყოფილია ორ ქვეჯგუფად. თვითეულ ქვეჯგუფში პირველ სამ ადგილზე გამოსული კოლექტივებისაგან (სულ 6 გუნდი) შეიქმნება ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშდება ჩემპიონობა.

პირველი ტურის მატჩები გაიმართა გასულ კვირადღეს. შეხვედრათა შედეგები ასეთია:

**პირველი ქვეჯგუფი** — „განთიადი" (ბათუმი) — „იმერეთი" (ქუთაისი) 1:1, „სიხარული" (მახარაძე) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 7:1, სკა (თბილისი) — „კოლმეურნე" (თელავი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:2, „კოლხიდა" (ხობი) — „მეშახტე" (ტყიბული), 4:1, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:0, „შუქურა" (ქობულეთი) — „მექანიზატორი" (ადიგენი) 2:1.

**მეორე ქვეჯგუფი:** „ისანი" (თბილისი) — „რიონი" (ქუთაისი) 4:0, „ოდიში" (ზუგდიდი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 6:2, „მესხეთი" (ახალციხე) — „სპარტაკი" (სტალინირი) 0:1, „სპარტაკი" (თბილისი) — „ვოდნიკი" (ფოთი) 1:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:0, „სპარტაკი (რუსთავი) — „დილა" (გორი) 2:2, „განთიადი" (ცხაკაია) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:1.

## შეჯიბრება ასუჯრედიან შაშში

**ბათუმში** დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ასუჯრედიან შაშში.

პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ოსტატმა ს. მანშინმა, რომელმაც 12 ქულა შეაგროვა 16 შესაძლებლიდან. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა ზ. ციტიკმა (ხარკოვი), როსტოველმა ი. ოგუროდნიკოვმა და კიეველმა ვ. კაპლანმა.

შეჯიბრების მონაწილეები, რომლებმაც პირველი ექვსი ადგილი დაიკავეს, მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებაში.

## ახალი ჩემპიონები

**გასულ** კვირადღეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დაიწყო ასპარეზობა ფიგურულ ციგურაობაში ჩვენი ქვეყნის პირად პირველობაზე. წყვილთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მეოთხეჯერ მოიპოვეს ლენინგრადელებმა ნინა და სტანისლავ ჟუკებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლიუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი. გასული წლის ჩემპიონებმა ტატიანა ჟუკმა და ალექსანდრე გავრილოვმა მესამე ადგილი დაიკავეს.

პირად შეჯიბრებაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო „ბურევესტნიკის" წარმომადგენელი 15 წლის ვალერი მეშკოვი.

## წყალბურთელთა ასპარეზობა

**მოსკოვის** ცსკა-ს აუზში „ბურევესტნიკის" წყალბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით 6:3 (1:0, 3:2, 2:0, 0:1) დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივი. ეს საბჭოთა წყალბურთელების მესამე გამარჯვებაა.

## ზამთრის ორჭიდში გამარჯვებული

**მურმანსკიდან** საქდესის სპეციალური კორესპონდენტი იური სტერლიგოვი იუწყება:

3 აპრილს მურმანსკის გარეუბანში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა თანამედროვე ზამთრის ორჭიდში. გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ალექსანდრე პრივალოვმა.

## მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესებულია

**კაიროში** ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ძალოსანმა სერგი ლოპატინმა (მსუბუქი წონა). 2 აპრილს სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ძალოსანთა შეჯიბრებაში მან აწია 133 კილოგრამი შტანგა, კილოგრამნახევრით გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს, რომელიც საბჭოთა სპორტსმენს ვლადიმერ კაპლუნოვს ეკუთვნოდა.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

# სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

## ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-80 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1961 წლის 30 მარტს ქალაქ სტალინგრადში.

მოგება ხვდა სესხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 001672 | 33*) | 1.000 | 033919 | 19*) | 500 | 068595 | 26*) | 1.000 |
| 002620 | 10*) | 500 | 035430 | 47*) | 500 | 068612 | 1—50 | 40 |
| 002883 | 1—50 | 40 | 035924 | 1—50 | 40 | 068676 | 19*) | 500 |
| 003460 | 1—50 | 40 | 036080 | 1—50 | 100 | 070046 | 43*) | 500 |
| 003526 | 1—50 | 100 | 036207 | 1—50 | 40 | 070668 | 34*) | 500 |
| 004192 | 35*) | 500 | 036490 | 47*) | 1.000 | 071149 | 1—50 | 40 |
| 004232 | 1—50 | 100 | 036981 | 19*) | 500 | 071836 | 49*) | 500 |
| 004330 | 1—50 | 40 | 037701 | 50*) | 500 | 074665 | 1—50 | 40 |
| 005336 | 30*) | 500 | 037934 | 38*) | 500 | 074986 | 08*) | 500 |
| 005878 | 44*) | 1.000 | 038775 | 06*) | 5.000 | 075752 | 1—50 | 100 |
| 006035 | 1—50 | 40 | 039240 | 10*) | 500 | 076382 | 1—50 | 40 |
| 006243 | 24*) | 500 | 039487 | 26*) | 1.000 | 076831 | 35*) | 500 |
| 006838 | 07*) | 500 | 039547 | 1—50 | 40 | 077785 | 29*) | 500 |
| 006799 | 09*) | 500 | 040556 | 1—50 | 40 | 077895 | 34*) | 500 |
| 007162 | 06*) | 500 | 041115 | 12*) | 1.000 | 078265 | 1—50 | 40 |
| 007668 | 06*) | 500 | 041711 | 46*) | 500 | 078994 | 16*) | 1.000 |
| 007733 | 21*) | 500 | 042380 | 1—50 | 40 | 079295 | 17*) | 500 |
| 008275 | 50*) | 1.000 | 042925 | 04*) | 500 | 079937 | 50*) | 500 |
| 008657 | 41*) | 1.000 | 041825 | 45*) | 1.000 | 080250 | 17*) | 500 |
| 009104 | 27*) | 500 | 045803 | 1—50 | 40 | 080273 | 08*) | 500 |
| 009314 | 34*) | 500 | 046024 | 34*) | 500 | 081421 | 11*) | 500 |
| 009810 | 06*) | 500 | 046988 | 1—50 | 100 | 081939 | 28*) | 500 |
| 009926 | 1—50 | 40 | 047027 | 17*) | 2.500 | 082107 | 29*) | 500 |
| 011419 | 24*) | 500 | 047163 | 50*) | 500 | 082214 | 1—50 | 40 |
| 011675 | 13*) | 500 | 048118 | 1—50 | 100 | 082260 | 1—50 | 40 |
| 011698 | 03*) | 500 | 048678 | 46*) | 500 | 082604 | 17*) | 500 |
| 014320 | 24*) | 500 | 049315 | 06*) | 500 | 082840 | 1—50 | 40 |
| 015072 | 41*) | 500 | 049376 | 1—50 | 40 | 083143 | 37*) | 2.500 |
| 016281 | 41*) | 500 | 050969 | 1—50 | 100 | 084553 | 1—50 | 40 |
| 017157 | 04*) | 5.000 | 051786 | 16*) | 500 | 084842 | 23*) | 1.000 |
| 017286 | 1—50 | 40 | 052269 | 12*) | 1.000 | 086917 | 1—50 | 40 |
| 017977 | 43*) | 500 | 052866 | 1—50 | 100 | 087016 | 18*) | 500 |
| 018473 | 1—50 | 100 | 052933 | 1—50 | 40 | 087698 | 1—50 | 40 |
| 018598 | 07*) | 500 | 053237 | 34*) | 500 | 088262 | 1—50 | 100 |
| 019426 | 14*) | 1.000 | 053543 | 09*) | 500 | 089630 | 1—50 | 100 |
| 019526 | 1—50 | 40 | 054189 | 28*) | 1.000 | 089975 | 34*) | 500 |
| 020014 | 29*) | 500 | 054338 | 22*) | 1.000 | 090430 | 38*) | 1.000 |
| 021218 | 04*) | 500 | 054423 | 18*) | 500 | 090644 | 36*) | 500 |
| 021304 | 45*) | 500 | 055780 | 1—50 | 40 | 092365 | 1—50 | 40 |
| 022797 | 1—50 | 40 | 057958 | 26*) | 1.000 | 092623 | 42*) | 500 |
| 023266 | 34*) | 500 | 058324 | 50*) | 1.000 | 092709 | 15*) | 500 |
| 023764 | 1—50 | 40 | 059097 | 40*) | 500 | 092935 | 20*) | 500 |
| 023844 | 36*) | 500 | 059175 | 38*) | 500 | 093000 | 05*) | 500 |
| 024867 | 31*) | 1.000 | 059291 | 1—50 | 40 | 093704 | 47*) | 500 |
| 024951 | 1—50 | 100 | 059622 | 49*) | 500 | 095616 | 1—50 | 100 |
| 025436 | 26*) | 1.000 | 059637 | 24*) | 1.000 | 095653 | 1—50 | 40 |
| 026432 | 31*) | 2.500 | 060586 | 1—50 | 40 | 096944 | 15*) | 500 |
| 026715 | 1—50 | 40 | 061403 | 30*) | 2.500 | 096969 | 1—50 | 40 |
| 027182 | 1—50 | 40 | 061773 | 1—50 | 40 | 097175 | 17*) | 500 |
| 027604 | 1—50 | 40 | 061784 | 1—50 | 40 | 097656 | 1—50 | 100 |
| 030679 | 28*) | 500 | 063287 | 38*) | 1.000 | 097721 | 25*) | 1.000 |
| 030931 | 49*) | 500 | 063806 | 1—50 | 40 | 097985 | 25*) | 500 |
| 032101 | 1—50 | 40 | 063944 | 50*) | 500 | 098779 | 1—50 | 40 |
| 032287 | 17*) | 500 | 065940 | 24*) | 1.000 | 099160 | 11*) | 500 |
| 033545 | 34*) | 500 | 067148 | 04*) | 500 | 099310 | 02*) | 500 |
| 033643 | 1—50 | 40 | 067154 | 42*) | 2.500 | 099449 | 1—50 | 40 |
| | | | 068213 | 09*) | 500 | 099465 | 25*) | 1.000 |

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

**ცხრილში ნაჩვენებია მოგება ოცმანეთიან ობლიგაციებზე.**

**ათმანეთიან ობლიგაციაზე გაიცემა მოგების ნახევარი.**

**მოგების თანხაში შეტანილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.**

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც შემნახველი სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

**ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე**

**ნ. ი. ჩმუტოვი.**

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვ. კუზნეცოვა.**

5 აპრილი



**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) ფილარმონიული სასულე ორკესტრი, **რუსთაველის სახელობის** — ქართლის ჩირაღდნები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ბედნიერი უიღბლო, **სანკულტურის** — უხვი საღამო, **თოჯინების ქართული** — დარუბნელი ჭაბუკი (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (4 ს.).

**ტელევიზია:** 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ზღაპრების სკივრი" და „ფანქარას გამოფენაზე", 18.30 — სკოლების დასახმარებლად, 19.00 — სტუდენტი შემსრულებლების კონცერტი, 19.25 — კინონარკვევი, 19.55 — გადაცემა ციკლიდან — „გამოჩენილი ქართველი მომღერლები" — ვ. ქაშაკაშვილი, 20.25 — ახალი ამბები, 20.35 — მხატვრული ფილმი „ქურდბაცაცა კაჭკაჭი".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-06, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-50-84, წერილების — 8-78-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

უე 03886 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.